საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 10 ივნისი. 2017 წ. №116 (8253), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან საბოტაჟი არ წყდება

არ წყდება ტყუილები, არ წყდება შეტევა პარლამენტზე, კომისიაზე, არ წყდება საბოტაჟი საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა. მისივე თქმით, პრეზიდენტის მხრიდან ისმის პირდაპირი ტყუილი ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნასთან დაკავშირებით.

„გვქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტს შესაბამისი დოკუმენტი გაეგზავნა ვენეციის კომისიის მხრიდან და ამასთან დაკავშირებით გვაქვს დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. გარდა ამისა, როდესაც ფიქრია ჩიხრაძემ დაიწყო თავისი პრესკონფერენცია კონსტიტუციასთან დაკავშირებით, მისი პირველი სიტყვა იყო, გავეცანით ვენეციის კომისიის პირველად დოკუმენტსო. ეს თვითონ მან ბრძანა და დაადასტურა, რომ დოკუმენტი მიღებული ჰქონდა, გაეცნო ამ დოკუმენტს და ამის საფუძველზე ჩაატარა ბრიფინგი. ჩვენ დღეს მოვისმინეთ პირდაპირი ტყუილი. ამაში ქალბატონ ანას ვერ დავადანაშაულებ, როცა საუბრობს საპარლამენტო მდივანი, საუბრობს არა ქალბატონი ანა, არამედ პრეზიდენტი. ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ასეთ რამეებს ვისმენთ ხოლმე, ძალიან დამღლელია ყველაფერი, რაც ხდება საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტი ოთხი თვის განმავლობაში საკონსტიტუციო კომისიის არცერთ სხდომას არ დასწრებია და მონაწილეობა არ მიუღია. მისივე თქმით, პრეზიდენტის მხრიდან ისმის ტყუილები და შეტევა საქართველოს პარლამენტზე.

„ამასთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარები აღარ არის სწორი, გამომდინარე იქიდან, რომ არ წყდება ტყუილები, არ წყდება შეტევა პარლამენტზე, კომისიაზე, არ წყდება საბოტაჟი საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი გაიაზრებს იმ მდგომარეობას, რომელშიც ის ჩავარდა. არ დაესწრო კომისიის სხდომებს, დაიწყო შეტევა კომისიაზე და ახლა აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, რადგან მომზადდა დოკუმენტი, რომელიც სრულად შესაბამისია სამართლებრივ პრინციპებთან და აყალიბებს ნამდვილად დახვეწილ საპარლამენტო მმართველობის ფორმის სისტემას“, — განაცხადა კობახიძემ.

ჯანი ბუკიკიო ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნის გასაჯაროებით შეშფოთებულია

პარლამენტის თავმჯდომარე ვენეციის კომისიის მიერ გამოგზავნილი წინასწარი დასკვნის გასაჯაროების ფაქტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამოეხმაურა. მისი თქმით, ჯანი ბუკიკიო ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნის გასაჯაროებით შეშფოთებულია.

„საუბარი იყო იმაზე, თუ როდის გასაჯაროვდებოდა ეს დასკვნა და მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სწორედ რომ კომისიის თხოვნა იყო ამ დოკუმენტის არგასაჯაროება იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის დასკვნის წინასწარი პროექტი. შესაბამისად, ვენეციის კომისიის თხოვნა იყო, რომ არ გასაჯაროებულიყო ეს დოკუმენტი. ჩვენ ეს პირობა, ბუნებრივია, პირნათლად დავიცავით, თუმცა, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ „ტაბულაში“ გაჟონა ინფორმაციამ, იყო სიტყვასიტყვით ციტირებული კონკრეტული ჩანაწერები, ამ დასკვნის. ორ სუბიექტს ჰქონდა რეალურად მხოლოდ ეს დოკუმენტი: ეს იყო პარლამენტის ხელმძღვანელობა და ეს იყო საქართველოს პრეზიდენტი. ჩვენ გვაქვს, ბუნებრივია, ლეგიტიმური ეჭვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაჟონა ამ ინფორმაციამ „ტაბულაში“ და ამ ლეგიტიმურ ეჭვებს აქვს ბუნებრივია, თავისი საფუძველი“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მას აქვს ინფორმაცია, რომ ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო მომხდარით შეშფოთებულია.

„გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეშფოთებულია ბატონი ჯანი ბუკიკიო ამ ფაქტთან დაკავშირებით, ანუ ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ამ შეშფოთებას. არის ძალიან სამწუხარო ის, რომ უმაღლეს დონეზე ჟონავს ასეთი ინფორმაცია. ეს არის ნამდვილად შემაშფოთებელი, რაც ნამდვილად უნდა აღინიშნოს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„საზღვარი რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მალე გაქრება?!!“

„სამოკავშირეო და ინტეგრაციის ორმხრივი ხელშეკრულების საბოლოო მიზანი ის არის, რომ სამხრეთ ოსეთთან საზღვარი უნდა გაიხსნას და უბრალოდ გაქრეს“, — განცხადება ამის შესახებ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე გააკეთა.

„ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება, ღრმად არის რეალიზებული. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო უნიკალურ დონეზე ახდენს სამხრეთ ოსეთის სამხედრო ნაწილებთან ინტეგრაციას. უფრო მჭიდრო ხდება შს სამინისტროების ურთიერთობა, შექმნილია საერთო საინფორმაციო საკოორდინაციო ცენტრი. ჩვენ ასევე ვზრდით სოციალურ დახმარებებს და ვცდილობთ, რუსეთის ფედერაციის რეგიონებს დავუახლოოთ ხელფასები და პენსიები. პირველად ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა გადაწყვიტა უზრუნველყოს სამედიცინო დაზღვევით და ახლა ამ რთული საკითხის დამუშავება მიმდინარეობს“, — განაცხადა სურკოვმა.

ანტისემიტიზმიდან რუსოფობიამდე... 6

300 წლის შემდეგ სულხან-საბას კვალდაკვალ 7

ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს კონსტიტუციური და არა პროსტიტუციური კონსტიტუცია... 3

პატრულ ინსპექტორებს გამოცდების ჩაბარება მოუწევთ 2

ბლოკების აკრძალვასთან და 5-პროცენტიან ბარიერთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას შენიშვნა არა აქვს, „ბონუსიც“ ლეგიტიმურად მიაჩნია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მმართველი გუნდისთვის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნები აბსოლუტურად მისაღებია. მისი თქმით, ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ პარტიებისთვის 5-პროცენტიანი ბარიერის დაწესება შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტთან.

„5%-იანი ბარიერი დაწესებულია ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში. აქედან გამომდინარე, ბლოკების აკრძალვასთან და 5%-იან ბარიერთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას შენიშვნა არა აქვს. ამასთან, ვენეციის კომისიას „ბონუსიც“ ლეგიტიმურად მიაჩნია. საუბარია იმაზე, რომ იმ პირობებში, როცა დაწესებულია 5%-იანი ბარიერი და იკრძალება საარჩევნო ბლოკები, შეიძლება ბონუსის მოცულობა ზედმეტად გაიზარდოს, რამაც შეიძლება თანასწორობის პრინციპის ხელყოფა გამოიწვიოს“, — დასძინა სპიკერმა.

ირაკლი კობახიძე: ქართული მიწა მხოლოდ სახელმწიფოს, საქართველოს მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების საკუთრებაში დარჩება

„პრემიერ-მინისტრს, სამთავრობო გუნდსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის გამართული კონსულტაციის საფუძველზე, ერთსულოვნად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მაქსიმალურად მკაფიო და მკაცრი კონსტიტუციური ჩანაწერით დავიცვათ ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების სტრატეგიული ინტერესები, ქართული მიწა დარჩეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების საკუთრებაში“, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე კონსტიტუციური კანონის პროექტის შესაბამის თავს განიხილავენ, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი სწორედ მიწაზე საკუთრების უფლების კონსტიტუციური მოწესრიგებაა. ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ყველა ფაქტორის და, რაც მთავარია, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მიიღეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, იმავე მიზნით, პარლამენტში ინიციატივის წესით შევა კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე მიწის გასხვისების სათანადო შეზღუდვას.

შს მთავარ სამმართველოებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ალექსანდრე ხვადაგიანმა აჭარის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელები წარუდგინა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოს — ლევან მაისურაძე, ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს — კახაბერ ბუხრაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს — ნიკოლოზ გადელია, ხოლო შიდა ქართლის მთავარ სამმართველოს — მიხეილ კალაძე უხელმძღვანელებს.

საგამოძიებო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინეს

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს უწყების ახალი ხელმძღვანელი ლევან გამყრელიძე წარუდგინა, რომელიც დღეიდან საგამოძიებო სამსახურს ჩაუდგება სათავეში.**

პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ლევან გამყრელიძე კარგად იცნობს საგადასახადო კანონმდებლობას, გადასახადის გადამხდელთა ფსიქოლოგიას და აქვს ფინანსური დანაშაულის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება. მისი თქმით, სამსახურის ახალმა ხელმძღვანელმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას აღნიშნული უწყების რეფორმირებისა და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიმართულებით. საგამოძიებო სამსახურის ახალი უფროსის ლევან გამყრელიძის განცხადებით, დაიწყება სამსახურის რეორგანიზაცია იმისათვის, რომ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა გახდეს კიდევ უფრო ეფექტური, ხოლო სამსახური გაძლიერდეს.

პატრულ ინსპექტორებს გამოცდების ჩაბარება მოუნევთ

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები საკვალიფიკაციო **გამოცდებს ჩააბარებენ,** — ამის შესახებ განცხადება შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა გაკეთა. მღებრიშვილის თქმით, შსს-ს აკადემიაში მისი ინიციატივით უკვე შემუშავდა გადამზადების სპეციალური კურსი, რასაც თითოეული პოლიციელი გავლის.

„კურსის დასრულების შემდგომ ყველა ჩააბარებს გამოცდას ამ სამივე კომპონენტში, ხოლო, ვინც ვერ შეძლებს გამოცდის ჩაბარებას ორ ცდაზე, ბოდიშის მოხდით და მადლობის გადახდით, დავემშვიდობებით, მათ ჩაანაცვლებენ კადრები, რომლებიც არიან ახალგაზრდები, მოტივირებულები, ნასწავლი და, რაღა თქმა უნდა, გავლილი აქვთ სპეციალური მომზადების კურსი“, — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

ვენეციის კომისიის პირველადი დასკვნა

ყველა კმაყოფილია?

ვენეციის **კომისიის პირველადი დასკვნის შინაარსი არასამთავრობო სექტორისა და საკონსტიტუციო კომისიის ყოფილი წევრებისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა. მათი განცხადებით, პირველად დასკვნაში გათვალისწინებულია სწორედ ის შენიშვნები, რომელიც მათ თავის დროზე კომისიას შესთავაზეს.**

სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებას რეკომენდაციების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს, ამასთან, ურჩევს, დროულად განასაჯაროვოს ვენეციის კომისიისგან მიღებული დოკუმენტი, ვინაიდან „დამალვა დამატებითი სპეკულაციების საფუძველი ხდება“.

„ჩვენთვის ვენეციის კომისიის ასეთი წინასწარი დასკვნა მოულოდნელი არ ყოფილა. ბუნებრივია, ოფიციალურ დასკვნას ველოდებით, მაგრამ ჩვენთვის ისედაც ცნობილი იყო, რომ ვენეციის კომისიას კრიტიკული მოსაზრებები ჰქონდა ე.წ. ბონუსთან და მანდატების გადანაწილების წესთან დაკავშირებით. ეს თავიდანვე გამოჩნდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო, რადგან მანდატების გადანაწილების შემოთავაზებული წესი მართლაც ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ის ნამდვილად ვერ იქნება საქართველოსთვის პოზიტიური“, — განაცხადა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელმა დირექტორმა **მიხეილ ბენიძემ**.

ანალოგიური პოზიცია აქვს „საერთაშორისო გამჭვირვალეობა — საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორ **ეკა გიგაურს**:

„ცხადია, იმაში, რომ არაპირდაპირი წესით აირჩეს პრეზიდენტი, პრობლემა არ არის, თუმცა ორივე საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას ერთობლივი მიდგომა აქვს. ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ძალაუფლების კონცენტრაცია არ უნდა იყოს მხოლოდ პარლამენტში და მხოლოდ პარლამენტმა არ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი“.

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის **ფიქრია ჩიხრაძის** შეფასებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში სწორედ ის სულისკვეთებაა ასახული, რომელიც ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების შემქნას უზრუნველყოფს და რომელიც ამ ხნის განმავლობაში ქართველ საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჰქონდა:

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ რეკომენდაციებში სწორედ ის სულისკვეთებაა ასახული, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვქონდა ქართველ საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი მიმართულებით, თუკი ასეთი ცვლილებები ხორციელდება, ის აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს წარმომადგენლობითობას, აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს ბალანსისა და გაწონასწორების მექანიზმების შექმნას“.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერის **გიგა ბოკერიას** შეფასებით, ვენეციის კომისია ქართველ საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ერთ მხარეს დარჩა, ხოლო „ქართული ოცნება“ — მეორეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **ნიკა რურუას** აღქმით, ვენეციის კომისიის პირველადი დასკვნით, „ბონუსების და მანდატების გადანაწილების სისტემა უსამართლობის მწვერვალია“.

„ასევე ნათქვამია, რომ პრეზიდენტს ქვეყანაში დამაბალანსებელი ფაქტორის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც სადღეისოდ აქვს. ეს ნიშნავს, რომ პირდაპირი არჩევის სისტემა ირიბად არის მოწონებული“, — ფიქრობს რურუა.

„ქართულ ოცნებაში“ კი ფიქრობენ, რომ საერთო ჯამში, ვენეციის კომისიის დასკვნა პოზიტიურია.

როგორც ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა **თამარ ჩუგოშვილმა** განუცხადა, ვენეციის კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია საარჩევნო სისტემას ეხება და მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ცალ-ცალკე 5%-იანი ბარიერიც, ბლოკების აკრძალვაც და ბონუსის სისტემაც ლეგიტიმურია, რეკომენდაციები კი ეხება სამივეს ერთად, კომბინირებულად გამოყენებას (რასაც მმართველი გუნდი გეგმავს).

„მათ შორის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, ზღვარი დაუწესდეს იმ ტიპის ბონუსს, რომელიც შემოთავაზებულია. ეს ჩვენთვის სიახლე არ არის, რადგან როცა შეხვედრები გვქონდა, ეს ვენეციის კომისიის ექსპერტების მხრიდან იქნა გამოთქმული. საზოგადოებაც იყო ინფორმირებული, რომ რეკომენდაციები საარჩევნო სისტემას შეეხებოდა. ერთი-ერთი რეკომენდაცია ისაა, რომ ბონუსის გზით ზღვრის დაწესების თაობაზე გარკვეული ხარვეზი აღმოიფხვრას. რა თქმა უნდა, ამაზე ვმსჯელობთ. საზოგადოებისთვის პირობა გვაქვს მიცემული, რომ ვენეციის კომისიის დასკვნას ვასრულებთ და სრულად ვითვალისწინებთ. რა თქმა უნდა, ამ პირობას ვასრულებთ“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

ვინაიდან საარჩევნო სისტემაზე აზრთა სხვადასხვაობა მმართველ გუნდშიცაა, კითხვაზე — რამდენად მოსალოდნელია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ საკუთარი წარმომადგენლები დაითანხმოს, ჩუგოშვილი პასუხობს, რომ ეს ერთ-ერთი სირთულეა და გუნდის შიგნით მოლაპარაკებები გრძელდება.

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი **გედევან ფოფხაძე** ფიქრობს, რომ „გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება საჭირო იქნება, თუმცა მანდატების გადანაწილების პარალელურად მიდის საუბარი მაჟორიტარული არჩევნების სისტემის შენარჩუნებაზე, რის წინააღმდეგაც ვერც ერთი კომისია ვერ წავა, რადგან მაჟორიტარულ არჩევნებს, როგორც საარჩევნო სისტემას, არ შეიძლება, ვინმემ ხარვეზიანი უწოდოს“.

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, როგორც ფოფხაძე ფიქრობს, უპრიანი იქნება, პრეზიდენტის უახლოესი არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარდეს, მაგრამ თუ კონსტიტუციაში იქნება ჩანაწერი, რომ შემდეგი არჩევნები უნდა ჩატარდეს არაპირდაპირი წესით, მაშინ აქ ყველაფერი ნათელი იქნება.

◎ განიხილეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი

ირაკლი კობახიძის შეხვედრა მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სტუმრობდა. პარლამენტის თავმჯდომარეს აკადემიის წევრები და სამეცნიერო დაწესებულებების დირექტორები მასპინძლობდნენ. შეხვედრაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა კონსტიტუციური კანონის პროექტი. შეხვედრა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ** გახსნა. ამის შემდეგ მოხსნებისთვის სიტყვა გადაეცა პარლამენტის თავმჯდომარეს **ირაკლი კობახიძეს,** როგორც მან აღნიშნა – მისთვის მნიშვნელოვანია ასეთ ვითარებაში შეხვედრა, იგი ოჯახით არის დაკავშირებული მეცნიერებათა აკადემიასთან. რაც შეეხება საქართველოს კონსტიუტციას, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა: **„ახალი დოკუმენტი, რომელიც**

ამჟამად განიხილება საქართველოს პარლამენტში, ეფუძნება კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიც არის დემოკრატიის პრინციპი, სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. ეს პრინციპები სათანადოდაა ასახული კონსტიტუციაში და ყალიბდება საპარლამენტო მმართველობის სისტემა“. ამ საკითხზე მსჯელობა ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანებთან, ვისაც ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვთ. ისიც აღინიშნა რომ, აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი და პროფესორი მინდია უგრეხელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში.

„ხშირად არის საუბარი, თითქოს ჩვენ გადავდივართ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო სისტემაზე. თუმცა, ეს რეალურად ასე არ არის. საქართველოში დღესაც არის ჩამოყალიბებული საპარლამენტო მმართველობის სისტემა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობა და ჩვენ ვინარჩუნებთ ამ სისტემას. ეს არის საპარლამენტო მმართველობა“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისივე თქმით, მმართველობა ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს: ძლიერი პარლამენტი, ქმედითი მთავრობა, დამოუკიდებელი სასამართლო და ზეპარტიული პრეზიდენტი.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო მიწის საკითხს. კონკრეტულად იმას, რომ მიწა არ უნდა გაიყიდოს ან გასხვისდეს უცხოელ მოქალაქეებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და შეეხო ისეთ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მიწის გასხვისების საკითხი, მეცნიერების განვითარება და სხვა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესცენტრი

◎ მოქალაქე თავის მოსაზრებას გვთავაზობს

ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს კონსტიტუციური და არა პროსტიტუციური კონსტიტუცია...

არ არსებობს უზენაესი კანონი კონსტიტუციის გარდა, არ იქნება დემოკრატია საქმეში ხალხის ფართო მასების მონაწილეობის გარეშე. არ იქნება თავისუფლება და სიმართლე კონსტიტუციური კონსტიტუციის ქონისა და დემოკრატიის გარეშე.

კონსტიტუცია სრულფასოვანი, აღიარებული, მაღალი ღირსებისა და სათანადოდ პატივდებულია, როდესაც არ განიცდის ან იშვიათად განიცდის ცვლილებას და აკმყოფილებს მაღალ მოთხოვნილებებს.

საქართველოს კონსტიტუცია დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ხელისუფლების ცვლასთან ერთად, დღითი დღე განიცდიდა და განიცდის ცვლილებებს – პარტია „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, 1992-2003 წლებში, – პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს 2003-2012 წლებში, – კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს 2012-2016 წლებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის შემდეგ, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად იყარა კენჭი და გაიმარჯვა. მხოლოდ მიამიტი – გულუბრყვილო ადამიანი იფიქრებდა, რომ პარტია „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებაში ყოფნის მეორე ვადას დათმობდა და ქვეყნის სადავეს სხვა პარტიას ჩააბარებდა, წინასაარჩევნო პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, ბატონმა კახი კალაძემ დააანონსა, ჩვენ არ დავუშვებთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლასო. პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ეს დაპირება შეასრულა და არ დაუშვა ხელისუფლებაში სხვა პარტიის მოსვლა. დანარჩენი ყველა დანაპირების შესრულების იმედი არ უნდა გვქონდეს. პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა თქვა: დაპირებით ბევრს დაგპირდებით, მაგრამ ყველა დაპირებულს ვერ შევასრულებთო. სად ნახეთ თქვენ მთავრობა, რომელმაც ყველა წინასაარჩევნო დაპირება შეასრულაო. ისე, კარგი იქნება, რომ ვიცოდეთ, რომელ დაპირებულს შეასრულებს და რომელ დაპირებულს ვერ შეასრულებს.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ამჟამინდელი ხელისუფლების დღის წესრიგშიც დგას. ქვეყნის უზენაეს კანონში ცვლილებების შეტანა მარტო ხელისუფლების პრეროგატივა არ არის, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ამ საქმეში ჩართული უნდა იქნენ პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კონსტიტუციონალისტები და, რაც მთავარია, ხელისუფლებამ უნდა გაიგოს ხალხის აზრი. ამისთვის საჭიროა ჩატარდეს რეფერენდუმი კონსტიტუციაში შესატან საკითხებზე. ხელისუფლება რეფერენდუმის ჩატარების მომხრე არ არის, თუ ჩვენ ვატარებთ დეპუტატების არჩევნებს, რატომ არ უნდა ჩავატაროთ რეფერენდუმი ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორიცაა ქვეყნის უზენაესი კანონი. რეფერენდუმის შედეგის შესაბამისად შესატანია ცვლილებები კონსტიტუციაში. რეფერენდუმის ჩატარების დროს ხმის დამთვლელ კომისიებში უნდა შეევიყვანოთ უცხოელი დამკვირვებლები, რათა ეჭვი არავის გაუჩნდეს ბიულეტენების გაყალბებაზე. კონსტიტუციაში კი ჩაიწეროს, რომ ყოველი ხელისუფლება ვალდებულია, შეამოწმოს წინამორბედის მიერ ჩატარებული არჩევნების შედეგის სისწორე, ბიულეტენების გაყალბების შემთხვევაში დამნაშავეებს პასუხი აგებინონ. ამით თავიდან ავიცილებთ არჩევნებში ბიულეტენების ტოტალურ-მასობრივ გაყალბებას.

პოლიტიკიდან წასვლისა და არენის თანამოაზრეებისთვის ჩაბარების შემდეგ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შორიდან ადევნებს თვალყურს ხელისუფალთ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი, საზრიანი ადამიანია, ის პარტია „ქართული ოცნების“ ხერხემალია, ხელისუფლების სტრატეგი და კომპასია. ბუნებრივია, მას გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. მის სიტყვას დიდი წონა აქვს ხელისუფლებაში. პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი კი ტაქტიკოსია.

რეფერენდუმის ჩატარება-არჩატარების საკითხში მნიშვნელოვანია ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოზიცია. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ჩაატაროს რეფერენდუმი.

ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს კონსტიტუციური – გარკვეული, განმტკიცებული, განსაზღვრული კონსტიტუცია და არა, პროსტიტუციური – შებღალული, შეგინებული, შერცხვენილი კონსტიტუცია.

კონსტიტუცია უნდა იყოს მორგებული ქვეყანაზე და ხალხზე და არა – ხელისუფლებაზე.

ჩვენ გვინდა გვყავდეს ვირტუოზი – საქმის საუკეთესო შემსრულებელი ხელისუფლება და არა, ბოთე, არასმაქნისი ხელისუფლება. გვინდა, გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხორცს რომ ჭამდეს, ძვალს მაინც გადმოგვიგდებდეს.

P. S. ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი კონსტიტუციაში შესატან საკითხებზე?

რუსეთი მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს წინ და ცდილობს არაღიარებული რესპუბლიკების – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ინკორპორაციას – შეერთებას. საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა გამოიჩინოს მედღეხვალიობა და დროულად მიიღოს სათანადო ზომები. რუსეთი იმავეს აკეთებს უკრაინის მიტაცებულ ტერიტორიებთან მიმართებაშიც.

ლარი გაჭირვებაშია, მძიმე სენით, დევალვაციით არის დაავადებული. რეანიმაციაშია, ხელოვნურ სუნთქვაზეა გადაყვანილი. თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ გამოსაჯანმრთელებლად და სარეაბილიტაციოდ ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება. მისი მალე გამოჯანმრთელება დამოკიდებულია და პირდაპირ კავშირშია მთავრობის პოლიტიკასთან. არის იმის ნიშნები, რომ ავადმყოფობა ქრონიკულში გადაიზარდოს.

დაუბრუნდება კი ლარი პირვანდელ კურსს?! საეჭვოა! თუმცა, სანამ სუნთქავს, ვიმედოვნოთ!



ოთარ შონია,
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №42, | კორპ. ბ. 34

საოკუპაციო ხაზიდან კიდევ ორი ქართველი გაიტაცეს

გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე სოფელ ქერედან რუსმა მესაზღვრეებმა კიდევ 2 ქართველი გაიტაცეს. **ლევან ლაფაჩი და გურამ კოლოტაშვილი ოკუპანტებმა, სავარაუდოდ, ცხინვალში წაიყვანეს. მათ „საზღვრის“ გადაკვეთას ედავებიან.**

სრულდება თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი?

სრულდება თუ არა ოკუპირებული **ტერიტორიების შესახებ კანონი – ამ საკითხის შესახებ ინფორმაციას IDFI ავრცელებს. ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ჩამოსვლამ და დაბრკოლების გარეშე ქვეყნის დატოვებამ ამ კანონის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა.**

IDFI-მ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა. ორგანიზაციის ცნობით, უწყებამ IDFI-ის არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი პირი დააკავეს ან რამდენ პირს აეკრძალა ქვეყანაში შემოსვლა კანონის დარღვევის გამო 2009-2016 წლებში.

„სამინისტრო ასევე უარს ამბობს, გაასაჯაროოს კანონის დამრღვევ უცხოელ თანამდებობის პირთა შავი სია. საეჭვოა, სრულდება თუ არა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილდება, საქართველოს სახელმწიფო ნებართვას საჭიროებს“, – აცხადებს IDFI.

ვაშინგტონში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჯანელიძე სენატორებს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ვაშინგტონში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა სენატორებთან ტედ კრუზთან (ტეხასი), ლინდსი გრემთან (სამხრეთ კაროლინა) და კონგრესმენთან დანკან ჰანტერთან (კალიფორნია).

შეხვედრებზე საუბარი შეეხო საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, რეგიონში უსაფრთხოების მდგომარეობას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. მინისტრმა ხაზი გაუსვა აშშ-ის კონგრესის მხრიდან მცოცავი ანექსიის დაგმობის მნიშვნელობას და აღნიშნულ კონტექსტში კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება 2017 ფისკალური წლის აშშ-ის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ ჩანაწერის დაფიქსირების გამო. ამასთანავე, იმედი გამოთქვა, რომ სენატი და წარმომადგენელთა პალატა მომავალი წლის ასიგნებების აქტშიც იგივე ჩანართის დატოვებას გაუწევენ რეკომენდაციას. მინისტრთან შეხვედრებზე ამერიკელმა კანონმდებლებმა საქართველოს მიმართ მხარდაჭერის მზადყოფნა გამოხატეს.

<u>გიორგი გახარია:</u> საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ წინასწარ მონაცემებთან დაკავშირებით გიორგი გახარიამ მედიის წარმომადგენლებთან კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, პირდაპირი ინვესტიციები იზრდება ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დეველოპმენტის, საფინანსო და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

„რომ ნახოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა ჩვენი რეგიონის ქვეყნებში, ყველგან არის კლება, ერთადერთი ქვეყანა არის საქართველო, სადაც არის ინვესტიციების ზრდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ 4%-მდე ზრდა არ არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, ჩვენი მიზანია, გვქონდეს და აუცილებლად გვექნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უფრო მეტი ზრდა“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

2017 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია 3.7%-ით და 403.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგენს. ასევე 3.8-ჯერ გაზრდილია რეინვესტირების მაჩვენებელი, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი კომპონენტია. 2017 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, უძრავი ქონებისა და საფინანსო სექტორებში. ინვესტიციების შემოდინების კუთხით გამოირჩეოდა აზერბაიჯანი, საიდანაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 24% (97 მლნ. აშშ დოლარი) განხორციელდა, თურქეთი - მთლიანი ინვესტიციების 20% (82 მლნ. აშშ დოლარი) და გაერთიანებული სამეფო 20% (80 მლნ. აშშ დოლარი).

„კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რომ ბოლო წლების განმავლობაში რეგიონში იყო კლების ტენდენცია პირდაპირი ინვესტიციების კუთხით. საქართველო რეგიონში არის ერთადერთი ლოკაცია, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

რეგიონში შემცირებული საინვესტიციო აქტივობის ფონზე, ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდა ადასტურებს, რომ საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის კარგი გარემოა შექმნილი.

გაზრდილი პრემია-დანამატები სამინისტროებში

აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული სპეციალური დასკვნით ირკვევა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემია-დანამატებისთვის გაცემული თანხა ყოველწლიურად იზრდება. დასკვნაში საუბარია კონკრეტულ უწყებებზეც.

მთავრობამ ჯერ კიდევ 2014 წელს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უნდა დარეგულირებულიყო პრემიების გაცემის წესი. ლაშა თორდია ამბობს, რომ კონკრეტულ სამინისტროებში პრემია-დანამატები სწორედ ამ წესის დარღვევით გაიცემა.

ასეთ უწყებებად დასახელებულია შსს, ჯანდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და ფინანსთა სამინისტროები. როგორც დასკვნაშია მითითებული, ამ სამინისტროების მხრიდან ხდებოდა დადგენილი ლიმიტების გვერდის ავლით პრემიების გაცემა და ამის ფონზე ყოველწლიურად იზრდება პრემია-დანამატების თანხის რაოდენობა.

აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, უწყების მხრიდან რეკომენდაცია პრემიებისა და დანამატების გაცემის დამატებითი რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად გაიცემა. 2016 წელს „პრემიისა“ და „დანამატის“ მუხლებით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ოდენობამ 321 მლნ 758 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს — 6%-ით, ხოლო 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს 11.2%-ით აჭარბებს. აუდიტის სამსახურის დასკვნით, 2016 წელს პრემიის სახით გაცემული შრომის ანაზღაურება, 2015 წელთან შედარებით, 5.1%-ით (3,734 ათასი ლარით) შემცირდა, მაგრამ დანამატის სახით გაცემული სახსრების მოცულობა 9.5%-ით (21,923 ათასი ლარით) გაიზარდა.

ვინც ექსპორტზე გატანისას ქართულ ცხვარში უცხოურ ჯიშს შეურევს, მკაცრად დაისჯება

მთავრობის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, მეცხვარე, რომელიც უცხოურ ცხვარს შეურევს ქართულ ცხვარს და შემდეგ უცხოური ჯიშის ცხვარს ისე გაასაღებს, როგორც ქართულს, მკაცრად დაისჯება.

„საკითხი უკავშირდება კარანტინის წესების გამკაცრებას. თქვენ იცით, რომ სამწუხაროდ, არსებობდა პრაქტიკა, როდესაც საქართველოში ხდებოდა უცხო, მეზობელი ქვეყნებიდან ცხვრის შემოყვანა. იყო შემთხვევები, როდესაც ქართულ ცხვარში შერევა ხდებოდა. ქართულ ცხვარში უცხოური ცხვრის შერევა რისკებს ატარებს ვეტერინარული თვალსაზრისით. კარანტინის წესების დარღვევა საკმაოდ მკაცრად დაისჯება“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ედიშერ ქარჩავას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შევიდა

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა სხდომამდე

საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საუბარია ქარჩავას მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც ამბობდა, რომ გააჩნია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ დეკანოზს დარეგისტრირებული ჰქონდა ესპანეთში კომპანია და ამ კომპანიის მეშვეობით 50 მილიონი ევროს გათეთრებას აპირებდა. **„ედიშერ ქარჩავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც თითქოს მამა გიორგის მიერ ფულის გათეთრების პროცესს ეხებოდა. ის მიუთითებდა, რომ არსებობდა მტკიცებულებები. ეს აბსურდია, მარტო ის ფაქტი, რომ მისივე თქმით, პატრიარქმა ეს არ იცოდა, ეს უკვე სიცრუე იყო. მოვიძიეთ დოკუმენტი, სადაც პატრიარქის გაცემული მინდობილობაა იმ ქველმოქმედებაზე, რომელსაც დეკანოზი ედგა სათავეში. გრანტები და ინვესტიციები კლინიკებს უნდა მოხმარებოდა. ედიშერი აცხადებდა, რომ სარგებელს ელოდა დეკანოზი, ეს არის სიცრუე, ეს არის ღირსების შელახვა. არ შეიძლება ასეთი ცილისწამება და უარგუმენტოდ საუბარი“,** — აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

სექტემბრიდან ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნება

საბურთალოს რაიონში, პეკინის №23(ა)-ში, წლების წინ დახურული საბავშვო ბაღი სექტემბრიდან გაიხსნება. მერიის ინფორმაციით, ბაღის შენობას გამაგრებითი-სარეკონსტრუქციო სამუშაოები უკვე ჩაუტარდა. დასრულებული შენობა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან და საბურთალოს რაიონის გამგებელ ბექა მიქაუტაძესთან ერთად დაათვალიერა. საბავშვო ბაღში მერთან ერთად იმყოფებოდნენ პარლამენტისა და საკრებულოს საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები.

საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო. სამუშაოების ფარგლებში მოეწყო შენობის შიდა სივრცე და ეზო. საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება. სამუშაოების ღირებულებამ 1 318 000 ლარი შეადგინა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში აღსაზრდელთა 9, მათ შორის, 2 ბაგის ჯგუფი გაიხსნება, დასაქმდება 70-მდე ადამიანი.

საბურთალოს რაიონში საბავშვო ბაღზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია, ახალი ბაღის ასაშენებლად კი ტერიტორიის მოძიება საკმაოდ დიდი პრობლემაა. აღნიშნული ბაღის აღდგენით საბურთალოს რაიონში თავისუფალი ადგილების დეფიციტი მნიშვნელოვნად შემცირდება. ბაღი სკოლამდელი განათლებით 350-მდე ბავშვის უზრუნველყოფას შეძლებს.

სპორტული მოედნები განახლდა

დიდუბის რაიონში, დიღმის მასივის მე-3 კვარტლის, მე-11, მე-12 კორპუსებთან და ბელიაშვილის ქუჩის №40-ში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია დასრულდა.

სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა არსებული ამორტიზებული ხელოვნური საფარის დემონტაჟი, დაისხა ბეტონი, მოეწყო კომბინირებული ხელოვნური საფარი, ტერიტორია შემოიღობა მავთულბადით, ხოლო დაზიანებული ინვენტარი ახლით შეიცვალა.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში მოქალაქეებისთვის უფასო სერვისები მოქმედებს

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა აქტიურ ფაზაშია. რეფორმით გამარტივებულმა სარეგისტრაციო პროცედურებმა და უფასო სერვისებმა მოქალაქეთა მომართვიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა.

მიწის რეფორმის ფარგლებში, საფასურის გარეშე ხორციელდება შემდეგი სერვისები: სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება; მედიაცია, მათ შორის, სანოტარო მედიაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია. საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება (რაც გულისხმობს ელექტრონული ნახაზის გარეშე არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ცვლილების რეგისტრაციას უფასოდ). ამასთანავე, სახელმწიფო რეგისტრაციისთვის საჭირო საკადასტრო აზომვით ნახაზებსაც აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ აზომვითი ნახაზების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პროექტი, 2017 წლის პირველი ივნისის ნაცვლად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე გრძელდება.

არაოპტიმისტური სამხედრო სწავლება

5 ივნისს თბილისის მახლობლად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვაზიანის ბაზაზე, დაიწყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი სამხედრო სწავლება, რომელიც 14 ივნისამდე გასტანს. საქართველოს სამხედრო უწყების ცნობით, მეზობელი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფები ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ურთიერთკოორდინაციის დახვეწის მიზნით საგანგებო დავალებებს შეასრულებენ.

ამ სწავლებაში არაფერი არ არის ისეთი, რაზეც საჯარო საუბარი არ შეიძლებოდეს. ჩემი აზრით, უპრიანიც კია ზოგიერთი რამის დაზუსტება: **მაგალითად, რას ნიშნავს და რა სახის საგანგებო დავალებები უნდა შეასრულონ ამ სწავლებაში მონაწილე სამმხრივი სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფებმა.**

სამხედრო უწყებას მეტი პროაქტიულობა მართებდა კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინებით: **ეს სამმხრივი სწავლება დროში დაემთხვა ორ რეზონანსულ საქმეს, რომელიც სწორედ თურქეთსა და აზერბაიჯანს უკავშირდება და რის გამოც დღემდე შფოთავს საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი.**

29 მაისს თბილისიდან გაუჩინარდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, რომელიც ოჯახთან ერთად ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. 30 მაისს ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების ოპონენტი ჟურნალისტი აზერბაიჯანში იმყოფება, დაკავებულია და წარდგენილი აქვს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და კონტრაბანდის ბრალდებები. 31 მაისს, საღამოს, ბაქოში საბაილსკის რაიონულმა სასამართლომ აზერბაიჯანელ ჟურნალისტს აფგან მუხთარლის სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და მას კიდევ ერთი ახალი ბრალდება წარედგინა — ძალის გამოყენებით მესაზღვრის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა. 31 მაისიდან მოყოლებული, დღემდე თბილისში არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს ჟურნალისტებმა და ადამიანის უფლებათა დამცველებმა. ისინი საქმის დაუყოვნებლივ გამოძიებას ითხოვენ. ამ ფაქტს ინტენსიურად ეხმაურებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, „ამნესტი ინტერნეშენალი“ და „ჰიუმან რაიტს ვოჩი“.

აფგან მუხთარლის ადვოკატის ელჩინ სადიყოვის, თქმით, მუხთარლი ორშაბათ საღამოს თბილისში, საკუთარ სახლთან დააკავეს და ძალით ჩასვეს მანქანაში. დამკავებლებს თავი არ წარუდგენიათ, მაგრამ, მუხთარლის აზრით, ისინი საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ.

როგორც აფგან მუხთარლის ადვოკატი ამბობს, მის კლიენტს ტომარა ჩამოაცვეს თავზე და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიჰყავდათ მანქანით გაურკვეველი მიმართულებით. მანქანა ორჯერ გამოიცვალეს. მუხთარლის თქმით, მესამე მანქანაში აზერბაიჯანულად ლაპარაკობდნენ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სიტყვებით, როცა მას ტომარა მოხსნეს, იგი აზერბაიჯანის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იმყოფებოდა.

ეს ისტორია ასე დეტალურად იმიტომ გავიხსენე, რომ იგი ძალიან ჰგავს „საგანგებო დავალების“ შესრულებას „სპეციალური ოპერაციების“ ფარგლებში.

კიდევ ერთი სკანდალი უკავშირდება საქართველოს მეორე სტრატეგიულ პარტნიორსა და მეზობელს, თურქეთის ხელისუფლებას, რომელიც შარშანდელი არშემდგარი სამხედრო პუტჩის შემდეგ მსოფლიოს ყველა კუთხეში ეძებს გადატრიალების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

6 ივნისს თბილისში გაიმართა თურქეთის მოქალაქის მუსტაფა ემრე ჩაბუქის მხარდამჭერი აქცია. ჩაბუქი, რომელიც 15 წელია, საქართველოში ცხოვრობს, თურქეთის მხარის მოთხოვნით 24 ივნისს დააკავეს და მას თურქეთში ექსტრადიცია ემუქრება. აქციის მონაწილეები, რომელთა შორისაც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იყვნენ, ამბობენ, რომ ჩაბუქი უდანაშაულოა და ექსტრადიციის შემთხვევაში თურქეთში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ასე აღმოჩნდა საქართველო ორ სკანდალში გახვეული იმის გამო, რომ მისი მეზობელი თურქეთი და აზერბაიჯანი სულ უფრო კარგავენ დემოკრატიის ნიშნებს, ხოლო საქართველოს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში დღემდე ითვლება ერთგვარ ოაზისად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების — ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, არ ძალუძს ან, გარკვეული პოლიტიკური, ფინანსური თუ ეკონომიკური მიზანშეწონილობისა, ან ვალდებულებებიდან გამომდინარე, არ სურს წინააღმდეგობა გაუწიოს ანკარისა და ბაქოს ზემოქმედებას, რომლებსაც, ალბათ, კიდევ ბევრი ოპონენტი ეგულებათ საქართველოში.

ამ ფონზე საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის სპეციალური ოპერაციის დანაყოფების ერთობლივი სწავლება ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე უფრო შეშფოთებას იწვევს, ვიდრე ოპტიმიზმს.

კობა ლიკლიკაძე.

◎ ეძო

ვეხმაურები სტატიას „აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და ქათმისტვინა ინდივიდები“

ყოფილი პოლიტპატიმრის **ვაჟა ჟღენტის** ეს სტატია დიდი სიზუსტით ასახავს აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან დაკავშირებულ პერიპეტიებს. სიღრმისეულად, ლაკონიურად მკვეთრად ნაჩვენებია საქართველოში არსებული ოპოზიციის, არასამთავრობების, თვით პრეზიდენტის შინაგანი არსი — პირადული მოტივებით დატვირთული, მერყევი, ფლიდი, ყოველგვარი პრინციპებისგან დაცლილი. არასამთავრობებს სწყინთ, როდესაც მათ ქართული სახელმწიფოს ძირგამომთხრელებს უწოდებენ. ეს წოდება მათ ერთხელ კიდევ გაამართლეს, როცა ამ ჟურნალისტთან დაკავშირებული მოვლენების გამო აჟიოტაჟი ატეხეს, რათა ქართველერს სახელი გასტეხოდა.

დასავლეთი საქართველოდან გაქცეულ სისხლის სამართლის დამნაშავეებს მფარველობს — სააკაშვილს, ადეიშვილს, კეზერაშვილს და სხვებს. ამ უმსგავსობის წინააღმდეგ არასამთავროებსა და თვით პრეზიდენტს სიტყვაც კი არ დასცდენიათ.

სწორია, როცა ბატონი ვაჟა მათ „ქათმისტვინა ინდივიდებს“ უწოდებს. მე კი უფრო შორს მივდივარ — ქათამს იმდენი ტვინი მაინც აქვს, თავისი მოდგმა საფრთხისგან დაიცვას: შეხედეთ, მამალი როგორ დასტრიალებს ქათმებს, საშიშროების შემთხვევაში როგორ დაიძაგრება და მზად არის გაცილებით მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეს დაუფიქრებლად ეძგეროს. გამოდის, ჟღენტს ქათიანური უძღვნია ერის გამყიდველი ვაჟბატონებისთვის.

ერთ დეტალსაც უნდა მიექცეს ყურადღება. ხსენებული ინდივიდები მსწრაფლ გაექანენ აშშ-ის საელჩოში და ეს ყველაფერი ელჩს ჩაუკაკლეს, რაც კი აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან იყო დაკავშირებული. ელჩსაც მეტი რა უნდოდა, ალიევის კრიტიკის საბაბი მიეცა. მოგეხსენებათ, ალიევი თვითონ ჩაბრძანდა აშშ-ში და იქაურ ხელმძღვანელობას გულახდილად აუხსნა აზერბაიჯანის წინაშე მდგარი რთული პრობლემები. ალიევმა დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით უარი უთხრა ამერიკელებს ამ ეტაპზე მჭიდრო თანამშრომლობაზე. ალბათ, ეს ეწყინათ ამერიკელებს, ჩვენთვის აზერბაიჯანელები თავს რატომ არ წირავენო.

ჰოდა, ამერიკის ელჩი შეუდგა ალიევის წინააღმდეგ კამპანიის წარმართვას. ამის გაკეთება მას საქართველოს მოქალაქეების მეშვეობით სურს. ნუთუ ვინმე ჭკუათამყოფელი ქართველი ვერ ხვდება იმას, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება ამ იოლად ასახსნელ ეშმაკურ საქციელს ვერ აცნობიერებს? რასაკვირველია, აცნობიერებს და თუ იგი საპასუხო ნაბიჯს გადადგამს, ნუ გაგვიკვირდება.

ზემოხსენებულმა ქათმისტვინა მოქალაქეებმა პრეზიდენტის თავკაცობით, ეს არ იკმარეს — თვითონ რომ ატეხეს ალიაქოთი, ახლა სურთ ანტიქართულ საქმიანობაში ელჩები ჩააბან.

ნუთუ, მარტო ვაჟა ჟღენტის არის საქართველო? — ამ კაცმა მეტი რა ქნას, მთელი ცხოვრება არალეგალურ მუშაობაში გაატარა, რისთვისაც დიდი სასჯელი მიიღო. ახლაც არა აქვს დალხენილი ცხოვრება, მისი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა. წერს ეს კაცი სხვადასხვა გაზეთებში სტატიას — ზოგს თავისი გვარით, ზოგსაც მოგონილით, ზოგ მის სტატიას ხელს აწერენ ცნობილი მეცნიერები. ამით მას სურს, შეიქმნას ილუზია იმისა, რომ საღად მოაზროვნე ადამიანები არც თუ ისე ცოტაა საქართველოში.

ვიცი, ჩვენში არიან ექსპერტები და პოლიტოლოგები, მხედველობაში არ მყავს ცრუები, არიან მეცნიერები, მწერლები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რად დუმან ისინი?

მოგეხსენებათ, გულუბრყვილო ადამიანების ბუნება ასეთია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.

ახლა პრესა და ტელევიზია დაკავებულია ძირითადად ერთი საკითხით, როგორმე უკიდურესად გააძლიერონ ხსენებულ ჟურნალისტთან დაკავშირებული აჟიოტაჟი. ხალხიც აიყოლიეს. ყურადღება ხომ უნდა მიექცეს ამ ანტიქართულ ისტერიას. რომ იტყვიან, კაცი შვილი ხმას არ იღებს. თუ იღებს, სუსტად და არადამაჯერებლად. ამიტომ ვურჩევ გაზეთებს, „საქართველოს რესპუბლიკიდან“ გადაბეჭდონ ვაჟა ჟღენტის სტატია. თუ ასე არ მოხდება, ხსენებულ სტატიას „საქართველოს რესპუბლიკამ“ წააწეროს — „მკითხველთა თხოვნით“ და განმეორებით დაბეჭდოს სამშობლოს გამყიდველებისთვის ლახვრის ჩამცემი ეს სტატია.

საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, ერის გამყიდველ, ქათმისტვინა ინდივიდების პარპაშს და გაბუნიასთანა არაკაცების მომრავლებას რომ ვუყურებ, პასუხს რომ არავინ სცემს ისე, თავის გარეთ გამოყოფისა ეშინოდეთ. გულში უნებურად ნაღვლიანი, აკაკისეული სიტყვები ირითმება — ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო, მე გეუბნები — ათასჯერ მეტის.

გივი ჯაბუა

სამი ქვეყნის რკინიგზის ხელმძღვანელებმა ახალი პროექტი განიხილეს

საქართველოს, აზერბაიჯანისა და ირანის რკინიგზის ხელმძღვანელებმა, ახალი სარკინიგზო პროექტის — „სამხრეთი-დასავლეთის“ აქტივიზების საკითხი განიხილეს. სარკინიგზო დერეფნის განვითარებისათვის დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, სპარსეთის ყურესა და ინდოეთიდან ევროპის მიმართულებით საკონტეინერო ტვირთგადაზიდვას ეხება.

თბილისში გამართულ შეხვედრაზე, მხარეთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ევროპის მიმართულებით ტვირთბრუნვის დროის მაჩვენებელი შესამჩნევად შემცირდება. დღეს არსებული მდგომარეობით, სპარსეთის ყურესა და ინდოეთის რეგიონიდან ევროპის მიმართულებით დიდი მოცულობის ტვირთის საზღვაო გზით გადაზიდვას 30-40 დღე-ღამე სჭირდება. საქართველოს, აზერბაიჯანისა და ირანის სარკინიგზო ხაზით ამავე ტვირთის გადაზიდვა კი გაცილებით მოკლე დროში გახდება შესაძლებელი. ამ სარკინიგზო მონაკვეთზე კი კონკურენტუნარიანი ტარიფის დაწესებაც მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ, აზერბაიჯანის რკინიგზის თავმჯდომარემ ჯავიდ გურბანოვმა და ირანის ისლამური რესპუბლიკის რკინიგზის პრეზიდენტმა საიდ მოხამად ზადემ შეხვედრის შედეგების ამსახველ შესაბამის დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

ანტისემიტიზმიდან რუსოფობიამდე...

თუ შუა საუკუნის ისტორიიდან დავიწყებთ ათვლას, პირველი რუსოფობიური განწყობები და აქედან გამომდინარე საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო შიშები რუსეთის მიმართ ე.წ. დიდი სქიზმის, საეკლესიო განხეთქილების დროიდან იღებს სათავეს, როდესაც 1054 წელს ეკლესია ორ, კათოლიკურ და მართლმადიდებელ ნაწილებად გაიყო – კათოლიკურ ევროპას აშფოთებდა ის გარემოება, რომ რუსეთი, თავისი უზარმაზარი ტერიტორიით, ბუნებრივი რესურსებით, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დარჩა, რომლის ბურჯი და მფარველი, იმ დროს ჯერ კიდევ უძლიერესი ბიზანტიის იმპერია იყო!

ანტისემიტიზმი ებრაელი ერის თუ მისი რელიგიის, იუდეიზმის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ნიშნავს!

ამ ნიშნით „განათლებული ევროპის“ თითქმის ყველა ქვეყანა საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა დროს ყოფილა ებრაელი ერის სხვადასხვა მასშტაბის გენოციდი იმის გამო, რომ „ცივილიზებულ ევროპაში“ მიჩნეული იყო – თუკი რამ ცუდი ხდებოდა მსოფლიოში, ეს ებრაელების ბრალი იყო!

საუკუნეთა მანძილზე ებრაელთა ჩაგვრამ წარმოშვა სიონიზმი – ტერმინი აღნიშნავს პალესტინაში ებრაელთა დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით XIX საუკუნის დასასრულს აღმოცენებულ ებრაული პოლიტიკური აღორძინების მოძრაობას. მოძრაობა ბაზელში ჩატარებული (1897) პირველი სიონისტური კონგრესის შემდეგ ამოქმედდა, სადაც გამოცხადდა ებრაელი ჟურნალისტის თ. ჰერცლის იდეები. იგი ავტორია საპროგრამო წიგნისა „ებრაული სახელმწიფო. ძველი პრობლემის ახალი გადაწყვეტა“ (1896). პირველი ოფიციალური აღიარება სიონიზმმა 1917 წელს, „ბელფურის დეკლარაციით“ მოიპოვა. ამ დეკლარაციაში აღიარებულია ებრაელთა უფლება, „შექმნან ეროვნული კერა“ პალესტინაში, ერთა საბჭოს მანდატით. შემდგომ წლებში ებრაელებმა პალესტინაში სულ უფრო მზარდი რაოდენობის დასახლებები შექმნეს, რომელთაც ერთი ცენტალური ორგანიზაციის (ებრაული სააგენტო – Jewish Agency) ეგიდით მოქმედი სხვადასხვა კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ის გამოუყოფდა მიწას მოსახლეთა კოლონიებს და აერთიანებდა მათ კოოპერატივებად (კიბუცი). ნაციონალ-სოციალისტთა მიერ ებრაელთა დევნის შედეგად (ჰოლოკოსტი) სიონისტურმა მოძრაობამ მთელ მსოფლიოში მოიპოვა მხარდაჭერა, რამაც შედეგადაც მოიტანა *ისრაელის* სახელმწიფოს დაარსება (1948). თუმცა იმავე პროცესმა გამოიწვია არაბული ნაციონალიზმის წინააღმდეგობა და სათავე დაუდო ებრაულ და არაბულ თემთა კონფლიქტს, რომელიც დღემდე გრძელდება.

ანტისემიტიზმმა უმაღლეს მწვერვალს ფაშისტურ გერმანიაში (1933-1945), ადოლფ ჰიტლერის მესამე რაიხში მიაღწია, როდესაც ე.წ. „ებრაული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის“ ეგიდით, რომელსაც ჰენრიხ ჰიმლერი ხელმძღვანელობდა, ევროპაში მცხოვრები 9 600 000 ებრაელიდან, დაახლოებით 6 000 000 ებრაელი გაჟუჟეს საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ გაზის კამერებში!..

ყოველივე ზემორე თქმული იმისთვის კი არ დამჭირდა, რომ კიდევ ერთხელ ვიყელყელაოთ იმით, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 3000 წლის მანძილზე, ანუ მას შემდეგ რაც ბაბილონის მეფე ნაბუქუდონოსორისგან ლტოლვილმა ებრაელებმა საქართველოს შემოაფარეს თავი, აროდეს ყოფილა ქართველებისგან ებრაელთა რბევა-წიოკი!

არამედ, წინამდებარე წერილის დაწერა იმან განაპირობა, რომ რამდენიმე წელიწადია „განათლებულ დასავლეთში“, ჩვენს თვალწინ აღმოცენდა ანტისემიტიზმის ახალი ფორმა, რასაც მასობრივ რუსოფობიულ ისტერიას დავარქმევდი!

ანუ, ახლა „განათლებულმა აშშ-ევროპამ“ ებრაელები რუსეთით ჩაანაცვლეს – ახლა, რაც კი რამ მსოფლიოში ცუდი ხდება, ყველაფერი რუსეთის ბრალია!

თუ შუა საუკუნის ისტორიიდან დავიწყებთ ათვლას, პირველი რუსოფობიური განწყობები და აქედან გამომდინარე საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო შიშები რუსეთის მიმართ ე.წ. დიდი სქიზმის, საეკლესიო განხეთქილების დროიდან იღებს სათავეს, როდესაც 1054 წელს ეკლესია ორ, კათოლიკურ და მართლმადიდებელ ნაწილებად გაიყო – კათოლიკურ ევროპას აშფოთებდა ის გარემოება, რომ რუსეთი, თავისი უზარმაზარი ტერიტორიით, ბუნებრივი რესურსებით, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დარჩა, რომლის ბურჯი და მფარველი, იმ დროს ჯერ კიდევ უძლიერესი ბიზანტიის იმპერია იყო!

თუმცა ეს ფობია-შიშები უფრო მომავალი პერსპექტივებით იყო განპირობებული, ვიდრე რეალობით, რადგანაც რუსეთი ჯერ არ იყო იმ დროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის მიმართ ევროპის გაუცხოების საწყისად სწორედ დიდი სქიზმის პერიოდი მიაჩნია ისტორიკოსთა უმრავლესობას!..

ძირითადი დაპირისპირება სწორედ რომის კათოლიკურ და კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის მიმდინარეობდა იქამდეც კი, რომ ჯვაროსნული ომების დროს, როცა კათოლიკეები და მართლმადიდებლები ერთად იბრძოდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ იერუსალიმში მდებარე ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად, მიუხედავად ამისა, ვენეციელმა ჯვაროსნებმა 1204 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს და პირწმინდად გაძარცვეს...

უფრო მეტიც, კათოლიკურ ევროპას არც კი უფიქრია თურქ-სელჯუკების მიერ ალყაშემორტყმულ კონსტანტინოპოლს დახმარებოდა და ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი 1453 წლის 29 მაისს დაეცა – ბიზანტია საერთოდ გაქრა პოლიტიკური რუკიდან, ხოლო მის ადგილას ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო აღორძინება დედაქალაქით სტამბოლი, ოდესღაც კონსტანტინოპოლი!

ევროპაში ნამდვილი რუსოფობიაც ამ მოვლენებიდან დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ დაიწყო, როდესას რუსეთის მეფე ივანე მრისხანემ გამოაცხადა ლოზუნგი, დევიზი, გნებავთ, მიზანი: მოსკოვი მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება!

მას შემდეგ ყველა ომი რუსეთთან, ფაქტობრივად, მართლმადიდებლობასთან ბრძოლა იყო და დღესაც ასეა!

პეტრე პირველის, რომელმაც რუსეთი იმპერიად აქცია და, განსაკუთრებით, ეკატერინე დიდის დროს, როდესაც ამ იმპერიამ ძლიერების ზენიტს მიაღწია, ევროპაში რუსოფობია იდეოლოგიად იქცა!

მრავალჯერ სცადეს მართლმადიდებელი სამყაროს წინამძღოლის, რუსეთის წაქცევა შვედმა კარლოს დიდმა თუ პრუსიელმა ფრიდრიხმა, მაგრამ ამაოდ!

ბოლოს იმედგადაწურულმა კათოლიკურმა სამყარომ, ინგლისელთა ვერაგი დიპლომატიით და ევროპის ფინანსური წრეების წაქეზებით, ნაპოლეონ ბონაპარტის სახით, პრაქტიკულად, მთელი ევროპის სამხედრო რესურსი, 600-ათასიანი არმია შეუსიეს რუსეთს, მაგრამ „ველურმა რუსებმა“ ნაპოლეონს პარიზში მოუთავეს ხელი!

რომ არა რუსეთი, რომელმაც XVIII -XIX საუკუნეებში მრავალი ომი აწარმოა ოსმალეთის იმპერიასთან, რის შედეგადაც 1783 წელს გრიგორი პოტიომკინმა ყირიმი და იქაური თათრები – ოსმალეთის იმპერიის ნაწილი შემოუერთა რუსეთს, ეს რომ არა, დღეს შავი ზღვა, თურქეთის შიდა ტბა იქნებოდა თავისი ბათუმ-სოხუმის სანაპიროებითურთ!

სხვათა შორის, ეს ის ყირიმელი თათრები არიან, რომელთა მრავალათასიანი არმიიდან გიორგი სააკაძემ, რომ იტყვიან, ამბის მიმტანი არ გაუშვა, ისეთი სასტიკი მარცხი აგემა ტაშისკართან ბრძოლაში!

პირველი მსოფლიო ომის მთავარი მიზანიც ხომ რუსეთის მართლმადიდებელი მონარქიის დამხობა იყო და აკი დაამხეს კიდეც ე.წ. „ბრუსილოვის გარღვევის“ შემდეგ, უეჭველი გამარჯვების რელსებზე შემდგარ რუსეთის იმპერიას დასავლეთის ფინანსურმა წრეებმა (მათ შორის ანტანტაში რუსეთის მოკავშირე ბრიტანეთმა), ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალება მოუწყვეს და რუსეთის მართლმადიდებლურმა მონარქიამ და იმპერიამ არსებობა შეწყვიტეს!

ხოლო ომის დამთავრების საზეიმო აღლუმზე ლონდონში, რუსეთის მაგივრად აშშ მონაწილეობდა, რომელიც უკანასკნელ დღეებში ჩაერთო ომში და პრაქტიკულად უმსხვერპლოდ მოირგო გამარჯვებულის მანტია, აქედან გამომდინარე ფინანსური სარგებლითურთ!

თითქმის იგივე განმეორდა იმათთვის მეორე მსოფლიო, ხოლო ჩვენთვის დიდ სამამულო ომში...

სტალინმა გაგანია ომის დროს, ლენინტროცკის მიერ დახურული ეკლესია-მონასტრები აღადგინა, ციხიდან გამოუშვა სასულიერო პირები და ბოლოს პატრიარქის ტახტიც უბოძა რუსეთს, რომელსაც პეტრე პირველის დროიდან მოყოლებული პატრიარქი არ ჰყოლია!

ამით თბილისის სასულიერო სემინარისტმა(!) მართლმადიდებლობის აღორძინებას შეუქმნა პირობები და ყველაზე მთავარი – როგორც თავის დროზე რუსებმა ნაპოლეონს პარიზში, სტალინმა ჰიტლერს გერმანიაში დაუმთავრა ომი!

თითქმის ათსაუკუნოვან ისტორიას გადავავლეთ თვალი, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, დღევანდელ მსოფლიოშიც დიდი არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ფერი იცვალეს რუსოფობმა, კათოლიკურმა, თუ მისგან ნაბარტყმა მწვალებლურმა სექტებმა.

ამ ხლისტებს დღეს ნეოლიბერალები ჰქვიათ! მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს უკვე სსრკ-ის მემკვიდრე კაპიტალისტურ რუსეთს!

აქედან დასკვნა – ზემორე თქმულიდან გამომდინარე, დასავლეთს, რუსეთის, როგორც ასეთის, არსებობა აღიზიანებს და აქ არაფერ შუაშია, რომელი პოლიტიკური სისტემა სუფევს ქვეყანაში: ფეოდალური, ბოლშევიკური თუ კაპიტალისტური!

ჯერ ჩეჩნეთი „აუფეთქეს“ და სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეული რუსეთი, მართლაც კინაღამ დაიშალა, მაგრამ ამ დროს, როგორც თავის დროზე სტალინი, ახლა ვლადიმერ პუტინი მოევლინა რუსეთს (წაიკითხე, მართლმადიდებლობასაც) მხსნელად, რომელმაც არა თუ ჩააქრო ხანძარი, არამედ ჩეჩნეთი დღეს ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენია რუსეთისა ჩრდილო კავკასიაში!

„გუშინ“ უკრაინაში სცადეს ჩეჩნეთის გამეორება, მაგრამ დღეს ის რუსეთი აღარ არის, რაც 90-იანების მიწურულში იყო და ყირიმი, სევასტოპოლი ოფიციალურად მიიერთა, ხოლო დონბას-ლუგანსკში პრაქტიკულად რუსეთის იურისდიქციაა და ჯერი ახლა ოდესაზეა, რადგანაც ოდესა ყოველთვის რუსული ქალაქი იყო!

რუსოფობიური ისტერია კი გრძელდება, რომლის ცენტრი ახლა აშშ-ია!

თუმცა ერთი რამ ცხადია – ეს ისტერია, როგორც წესი, დასავლეთის სახელისუფლებო წრეებში სუფევს და ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის სიმპათიები (ალბათ, მინუს აშშ) სულ უფრო იხრება რუსეთისკენ!

რატომ?

თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელი რუსეთია ქრისტიანული მორალის, ზნეობის დამცველი ლგბტიზაციის საპირწონედ, რომელმაც თამამად შეიძლება ითქვას, უკვე წალეკა ევროკავშირი, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთში ტერაქტები თითქმის არ ხდება იმ ფონზე, როდესაც გასულ კვირაში ბრიტანეთში სამი თვის განმავლობაში მესამე ტერაქტი მოხდა! რომ აღარაფერი ვთქვათ ნიცაში, პარიზში, ბერლინში და ა.შ. „ისლამური ხალიფატის“ მიერ მოწყობილ ტერაქტებზე...

მიუხედავად ამისა, აშშ სენატორი მაკკეინი (რომელიც საკუთარ პოლიტიკურ შვილობილზე, შექანებულ მიშა სააკაშვილზე ჭკვიანი ნამდვილად ვერ არის) აცხადებს, „ისლამურ ხალიფატზე“ საშიში, ერთი პიროვნება – რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიაო...

ნელ-ნელა აზრს კარგავს ე.წ. სანქციები, რისი დასტურიც გასულ კვირაში პეტერბურგში გამართული ეკონომიკური ფორუმია, რომელსაც ესწრებოდნენ გაეროს გენმდივანი, ინდოეთის პრემიერი, ავსტრიის კანცლერი, მოლდოვას პრეზიდენტი და, რაც მთავარია, ასობით ბიზნესმენი (ძირითადად, აშშ-დან (!), რომლებმაც საერთო ჯამში 2.5 ტრილიონი რუბლის კონტრაქტები გააფორმეს!

ჩეჩნეთი იყო თუ უკრაინა არის, სირიაა თუ ხვალ დიდი ალბათობით გაჩენილი ახალი ცხელი კერები იქნება, სადაც რუსეთი იბრძვის, ან იბრძოლებს, საბოლოო ჯამში ნეოლიბერალების ბრძოლაა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ!

დამარცხდება რუსეთი?

აღარ იარსებებს მართლმადიდებლობა და ე.ი. აღარ იარსებებს მორალი, ზნეობა, სამშობლო, სქესი, წინაპართა ხსოვნა, ოჯახი და ა.შ. სხვა ღირებულებები, რომლებითაც ადამიანი განირჩევა ცხოველისგან და უფალ ღმერთს თავადვე შერცხვება თავისივე გაჩენილთა ნამოქმედარის და წარღვნისა და სოდომ-გომორის შემდეგ, მესამედ და სამუდამოდ აღგვის პირისაგან მიწისა ადამის მოდგმას...

დავით მხეიძე

300 წლის შემდეგ სულხან-საბას კვალდაკვალ

„ფრანცისის თემის ბოლოდან წამოვედით, რომელსაც ჰქვია ტანტიბ ქალაქი. ათი მილი ვლეთ, დაილია ფრანცა. ნისი ერქვა, იტალიის ადგილია, საბიას ბატონის ქალაქი. საბიას ბატონს აქამდინ ლუკა ერქვა“, — ასე იწყება დიდი ქართველი განმანათლებლის, დიპლომატის, ლექსიკოგრაფის, მწერლის, მთარგმნელის, მეფეთა აღმზრდელისა და მრჩევლის, ბოლოს ბევრისგან გარიყული და უცხო მიწას მიბარებული სულხან-საბა ორბელიანის **„მოგზაურობას ევროპაში“,** უფრო სწორად — მისი ჩვენამდე შემორჩენილი ნაწილი.

სულხან-საბას მოგზაურობიდან გადის ზუსტად 300 წელი და სულხან-საბას კვალდაკვალ იწყებს თავის მოგზაურობას ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, მოგზაური, მწერალი და პუბლიცისტი, მრავალი წიგნის ავტორი და ბიბლიოფილი, დოქტორი და პროფესორი **პაატა ნაცვლიშვილი.** იგი საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა დიდი წინაპრის გზას. ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის კარგადაა ცნობილი ბევრი ის სირთულე, რაც თან ახლდა პაატა ნაცვლიშვილის ოდისეას, რადგან ჩვენ, თავის კოლეგებს გვანდო, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოგვექვეყნებინა პირველი შთაბეჭდილებები იმ ვრცელი წიგნისა, რომელსაც ამ პროექტის ერთგვარ დაგვირგვინებად მიიღებს მკითხველი.

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში მოგზაურობის პაატასეულ იდეას 2014 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ დაუჭირა მხარი. რობაქიძის უნივერსიტეტი, სადაც პაატა ნაცვლიშვილი რამდენიმე საგანს ასწავლის და ჟურნალისტურ სახელოსნოს ხელმძღვანელობს, კვლავაც აგრძელებს პროექტის მხარდაჭერას. უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ორენოვან — ქართულ-იტალიურ ბუკლეტში, რომელიც მხატვარ მამუკა ცეცხლაძის ილუსტრაციებით არის დამშვენებული, მოკლედაა მოთხრობილი 300 წლის წინანდელი მოგზაურობის ამბები. გამოცემას ერთვის სულხან-საბას მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც არსებული მასალისა და გამოკვლევების საფუძველზე პროფესორმა კობა ხარაძემ აღადგინა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრმა „გეოგრაფიკმა“ აქცია რუკად.

ქართველი ჟურნალისტი და მეცნიერი ევროპაში მიდიოდა იმ რწმენით, რომ სულხან-საბას ელჩობასა და მისი აღზრდილის, ვახტანგ VI-ის ძალისხმევას მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია და იმთავითვე ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაციის, ევროპულ სივრცისკენ მისწრაფების დასტურად იქცა. თითქოს საგანგებოდ, პაატა ნაცვლიშვილის მოგზაურობის პირველი ეტაპის დასასრულს — რომში ჩასვლას დაემთხვა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. მაშინ სხვა დრო იყო, მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, **„რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა სახელგანთქმული ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“.** პაატა ნაცვლიშვილს არაფერი უთხოვია ევროპის მესვეურთათვის — არც ფული, არც ჯარი, არც დახმარება, მან უბრალოდ შეახსენა საზოგადოებას ევროპაშიც და საქართველოშიც, რომ ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე მიისწრაფოდა ევროპისაკენ, ევროპული ღირებულებებისაკენ. ვდა თუ სულხან-საბას დროს ევროპა ვერ აღმოჩნდა მზად საქართველოს ამ მისწრაფების გასაგებად, ახლა სხვა დროა.

პაატა ნაცვლიშვილის ოდისეის ბოლო ეტაპი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ათდღიანი მოგზაურობა თურქეთში 2016 წლის მაისში, როცა მათ გაიარეს სულხან-საბასეული გზის ბოლო მონაკვეთი და 1 ივნისს მოგზაურობა ტანძიაში, სულხან-საბას სახლ-მუზეუმში დაასრულეს.

და როგორც დასკვნითი აკორდი, 2016 წლის 1 ოქტომბერს იყო შეხვედრა რომის პაპთან თბილისში ვატიკანის საელჩოში, სადაც პროექტის მონაწილეებმა პაპ ფრანცისკეს მოგზაურობის მემორიალური მოოქრული მედალი და მამუკა ცეცხლაძის სპეციალურად შექმნილი ფერწერული ნამუშევარი გადასცეს.

სულხან-საბას კვალდაკვალ პაატა ნაცვლიშვილის მოგზაურობის ერთგვარი ანგარიში იყო ფოტოგამოფენა, რომელიც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის თაოსნობით გაიმართა 6 ივნისს საკრებულოს ულამაზეს დარბაზში.

აქ წარმოდგენილი იყო მცირეზე მცირე ნაწილი იმ დიდძალი ფოტო თუ ვიდეომასალისა, რომელიც მოგზაურობის დროს დაგროვდა. თუ ამას დავუმატებთ იმ წერილებს, რომლებიც პაატა ნაცვლიშვილმა დაბეჭდა ჩვენს გაზეთში თუ ჟურნალ „ისტორიანში“ და იმ სამოგზაურო ჩანაწერებს, რომლებსაც იგი სისტემატურად აქვეყნებს ფეისბუქ-პეიჯზე „მოგზაურობა 300 წლის შემდეგ“, ადვილად წარმოვიდგენთ, რა მნიშვნელოვანი და საინტერესო შეჯამება გველის, როცა ეს ყველაფერი ერთად მოიყრის თავს. აქ ზედმეტად და შეუძლებლადაც მიმაჩნია საუბარი ყველა იმ დეტალზე, კურიოზზე, სირთულეზე, აღმოჩენაზე, ისტორიულ მომენტზე, რაც გამოიარა პაატა ნაცვლიშვილმა სულხან-საბას გზის გავლისას, რადგან ამ ყველაფერს უხვად ილუსტრირებული წიგნი და დოკუმენტური ფილმი მიეძღვნება, რომლებზე მუშაობაც პაატა ნაცვლიშვილს უკვე დაწყებული აქვს და რასაც, დარწმუნებული ვარ, წარმატებითაც გაართმევს თავს, როგორც მას სჩვევია, თავისი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების წყალობით.

ფოტოგამოფენასთან ერთად იმ დღეს საკრებულოში გაიმართა პრეზენტაცია ფოტოალბომისა, რომელიც მოგზაურობის მონაწილეთა რომის პაპთან შეხვედრას ასახავს.

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი;** რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე;** საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე **ნანა ბოლაშვილი;** თსუ პროფესორი **ლეილა ხუბაშვილი;** თსუ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი **კობა ხარაძე,** საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის „გიორგის“ თავმჯდომარე, ჟურნალისტი **გვანჯი მანია,** მწერალი **როსტომ ჩხეიძე,** კრიტიკოსი **ლევან ბრეგაძე,** თსუ ემიგრაციის მუზეუმის გამგე **რუსუდან კობახიძე,** მწერალი და რეჟისორი **მიხეილ ანთაძე** და სხვები.

პრეზენტაციას თავად პაატა ნაცვლიშვილი უძღვებოდა. მან სულხან-საბას მოგზაურობის საიუბილეო მემორიალური მედალი გადასცა რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორს მამუკა თავხელიძეს, შემდეგ კი რექტორმა ამ მედლით დააჯილდოვა ის პიროვნებანი თუ ორგანიზაციები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს პროექტის განხორციელებაში.

მოგზაურობის საიუბილეო მემორიალური მედალი სულ სამი ათეული ცალი დამზადდა უკრაინაში პაატა ნაცვლიშვილის მამის, მოქანდაკე თემო ნაცვლიშვილის ესკიზით. მედლის სამი სხვადასხვა ვარიანტი არსებობს — ქართულ-იტალიური, ქართულ-ფრანგული და ქართულ-ინგლისური წარწერებით.

— სულხან-საბა სწორედ მამაჩემმა შემაყვარა ბავშვობაში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მის რომელიმე ნაშრომს წავიკითხავდი; მან საბას რამდენიმე სკულპტურული თუ გრაფიკული ნამუშევარი მიუძღვნა, — თქვა პაატა ნაცვლიშვილმა პრეზენტაციაზე.

იმ დღეს მოგზაურობის მემორიალური მედლით დაჯილდოვდნენ საქართველოში ვატიკანის საელჩოს მდივანი **მიჰაიტა ბლაჟი,** პროფესორი **კობა ხარაძე,** გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი **„გეოგრაფიკი“** (ხელმძღვანელი — **გიორგი გოცირიძე**), მოქანდაკე **თემო ნაცვლიშვილი** (გარდაცვალების შემდეგ), მხატვარი **მამუკა ცეცხლაძე, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი** (ხელმძღვანელი — პროფესორი **თემურ ხუციშვილი**), საგამომცემლო სტუდია **„პეტიტი“** (ხელმძღვანელი — **გიორგი შავლაყაძე**), სუვენირების საწარმო **„კომბიმეფი“** (ხელმძღვანელი — **ლუკა გოცირიძე**) და რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი **ხათუნა კაჭარავა.**

— გული დამწყდა, რომ გამოფენაზე მოსვლა სხვადასხვა მიზეზით ვერ მოახერხეს პაპის ნუნციუსმა ამიერკავკასიაში მონსენიორ *მარეკ სოლჩინსკიმ,* ჩვენი მოგზაურობის ფეისბუქ-პეიჯის ადმინმა *თამარ ელისაშვილმა,* აგრეთვე საბას მოგზაურობის ტექსტების იტალიურ ენაზე მთარგმნელებმა *ლელა ბერიძემ* და *ირინა ბაგაურმა,* — გვითხრა პრეზენტაციის დასრულებისას პაატა ნაცვლიშვილმა, **ჩვენ გვინდოდა, მათთვისაც გადაგვეცა მემორიალური მედლები, ისევე როგორც საქართველოში იტალიის საელჩოსთვის, რომლის წარმომადგენელმა ასევე ვერ შეძლო მისვლა.**

დღეს ამ მემორიალური მედლის მფლობელები არიან: საქართველოს ელჩი საფრანგეთში ეკატერინე **სირაძე-დელონე,** საქართველოს ელჩი იტალიაში **კახა სიხარულიძე,** პარიზში მცხოვრები ცნობილი ქართველი ჟურნალისტი **ბონდო ქურდაძე,** თურქეთელი ქართველები **აიდან დედაშვილი** და **რამაზან დერენი.** გარდა ამისა, მედლის თითო ეგზემპლარი დაცულია ვერსალის მუზეუმში, მონაკოს სასახლეში, დავით-გარეჯის მონასტერსა და ტანძიაში.

სულხან-საბას სახლ-მუზეუმის დირექტორი **ნაზი ბიძინაშვილი-აბრამიშვილი** მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში 6 ივნისს და უკან გამოფენის რამდენიმე ექსპონატით ხელდამშვენებული დაბრუნდა, რომლებიც მას მუზეუმისთვის აჩუქეს ავტორმა და რობაქიძის უნივერსიტეტმა.

წარდგინებას უამრავი ადამიანი დაესწრო: თბილისის საკრებულოს წევრები, რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტები თუ აკადემიური პერსონალი, მოწვეული სტუმრები, საზოგადო მოღვაწეები და პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებისა და ღვაწლის მრავალი დამფასებელი.

ცნობილი ფოტოხელოვანის **ალექსანდრე კოტორაშვილის** აქ დაბეჭდილი მცირე ფოტორეპორტაჟის წყალობით გაზეთის მკითხველს საშუალება აქვს, წარმოდგენა შეიქმნას ამ ლამაზი და საინტერესო საღამოს შესახებ.

მამუკა თავხელიძე და პაატა ნაცვლიშვილი მემორიალურ მედალს გადასცემენ ვატიკანის საელჩოს მდივანს მიჰაიტა ბლაჟს.

პაატა ნაცვლიშვილი სულხან-საბას მოგზაურობის საიუბილეო მედალს გადასცემს რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორს მამუკა თავხელიძეს.

მამუკა ვაშაკიძე

ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

გიორგი III

ძე კონსტანტინე ბატონიშვილისა, ძმა როსტომ მეფისა, იმერეთის მეფე 1605-1639 წლებში. 1614 წელს შაჰ აბასისგან დევნილი ქართლისა და კახეთის მეფენი ლუარსაბ II და თეიმურაზ I შეიფარა, შაჰის მოთხოვნას ანგარიში არ გაუწია და შეხიზნულნი არ გასცა. გიორგი მეფეს კავშირი ჰქონდა გიორგი სააკაძესთან. სააკაძე ჰპირდებოდა, რომ გაერთიანებული საქართველოს ტახტზე მის შვილს ალექსანდრეს აიყვანდა. 1626 წელს მაზალეთის ძმათამკვლელ ომში გიორგი III-ემ გიორგი სააკაძეს იმერთა ლაშქარი მიაშველა. სააკაძის საბოლოო მარცხის შემდეგ, ისევ თეიმურაზ I დაუახლოვდა და ბოლოს დაუმოყვრდა კიდეც: გიორგის ვაჟმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ცოლად შეირთო თეიმურაზის ასული დარეჯანი (ზურაბ ერისთავის ქვრივი). გიორგი III-ეს გაუთავებელი და თითქმის მუდამ მარცხიანი ბრძოლები ჰქონდა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან. განსაკუთრებით მძიმე მარცხი განიცადა კო-

გიორგი III და დედოფალი თამარი

ჭორაულთან გამართულ ბრძოლაში. 1623 წლის ბოლოს ტყვედაც ჩაიგდო დადიანმა იმერთა მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილმა დიდძალი გამოსასყიდით ძლივს დაიხსნა მამა სამარცხვინო ტყვეობიდან. 1639 წ. გიორგი III გარდაიცვალა, დაკრძალეს გელათს.

ალექსანდრე III

უფროსი ძე გიორგი III-ისა, იმერეთის მეფე 1639-1660 წლებში. მამის მსგავსად თვითონაც გამუდმებული შინაფეოდალური ბრძოლებით იყო დაკავებული. სიმამრის თეიმურაზ I-ის გავლენით ალექსანდრემ რუსეთთან კავშირის გაბმა გადაწყვიტა და 1649 წელს ელჩები გაგზავნა (იგანე გრიგოლაშვილი, პახომი, დავითი და ვასილი) მოსკოვს, მეფე ალექსი რომანოვთან. საპასუხოდ რუსი ელჩებიც (ტოლმაჩოვი და ივეცლევი) ჩამოვიდნენ საქართველოში (1650 წ.). მომდევნო, 1651 წელს ალექსანდრე III-ემ ხელი მოაწერა რუსეთთან „ერთგულების ფიცს". ქვეყნის შიგნით ალექსანდრეს განუწყვეტელი ომი ჰქონდა დადიანებთან, ჯერ ლევან II-სთან, ლევანის სიკვდილის შემდეგ – ლიპარიტთან. 1658 წელს ალექსანდრემ ლიპარიტ დადიანი დაამარცხა და მის ნაცვლად ოდიშის სამთავრო ტახტზე თავისი კაცი ვამეყ დადიანი

დედოფალი ნესტან-დარეჯანი

დასვა. იმერეთის მეფემ გურიაც „გაითავისა", იქაც თავისი მომხრე დემეტრე გურიელი დასვა მთავრად. ალექსანდრე III გარდაიცვალა 1660 წ. დაკრძალეს გელათს.

ბაგრატ IV

ძე ალექსანდრე III-ისა. იმერეთის მეფე 1660-1661, 1663-1665, 1666-1678 და 1679-1681 წლებში. ტახტზე ასულისას 43-44 წლის კაცი იყო, მაგრამ მეფობისთვის მაინც უმწიფარი, უნებო, ყველაფრისადმი გულგრილი და უმოქმედო იყო. დედინაცვალმა, მტკიცე და მბრძანებლური ბუნების დედოფალმა დარეჯანმა (თეიმურაზ I-ის ასული და ზურაბ ერისთავის ნაცოლარი) გერი თავიდანვე გავლენის ქვეშ მოიქცია, ცოლად თავისი ძმისშვილი (დავით ბატო-

ნიშვილის ასული) ქეთევანი შერთო. გერი და დედინაცვალი მალე წაიჩხუბნენ. დარეჯანმა აჯობა, ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და უსინათლოს ცოლიც წაჰგვარა (1601 წ.), მაშინვე დარეჯანმა ქმარიც „იშოვა" – შეირთო ვინმე ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, სისხლით ბაგრატიონთა ნათესავი.

მაგრამ დასავლეთ საქართველოს ფეოდალებმა ვამეყ დადიანისა და პაატა აბაშიძის მეთაურობით, ვიგინდარა ჭუჭუნაშვილი არ გაიმეფეს, ჩამოაგდეს და თვალები დათხარეს. დარეჯანი, ქეთევანი და უსინათლო ჭუჭუნაშვილი სამცხეში გადაიხვეწნენ. დასავლეთ საქართველოს საქმეებში მაშინ ქართლის მეფე ვახტანგ V-ეც ჩაერია. მან იმერეთის ტახტზე თავისი შვილი არჩილი აიყვანა, მაგრამ არჩილ II-ის მეფობაც ფრიად ეფემერული აღმოჩნდა (1661-1663 წწ). იგი ოსმალეთის სულთნის მოთხოვნით მოაცილეს ქუთაისს. ტახტზე ისევ უსინათლო ბაგრატ IV ავიდა 1663 წ. ორი წელიწადი ძლივს გავიდა ბაგრატის კვლავ გამეფებიდან და დარეჯანმა და მისმა ზრმა ქმარმა ვახტანგ ჭუჭუნაშვილმა ახალციხიდან ოსმალთა ჯარი გადმოიყვანეს. ბაგრატ IV ქართლში გაიქცა. ტახტი დარეჯანმა და ჭუჭუნაშვილმა დაიჭირეს (1665 წ.). მომდევნო 1666 წელს დარეჯანი და ჭუჭუნაშვილი შეთქმულებმა ამოხოცეს და ქუთაისის ტახტზე დემეტრე გურიელი მიიწვიეს. სულ მალე დემეტრეც ჩამოაგდეს შეთქმულებმა, თვალები დათხარეს, გააძევეს და მეფედ ისევ ბაგრატ IV აღადგინეს (1666). იმავე წელს სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ ქუთაისის ციხე „მოიპარა" და შიგ ოსმალთა ციხიონი შეუშვა. მაგრამ იმერელი პატრიოტები მეჟან ლორთქიფანიძის მეთაურობით ციხეს დაესხნენ, ოსმალთა ციხიონი ამოწყვიტეს და გათავისუფლებული ქალაქი ისევ ბაგრატს მიართვეს. 1669 წელს სეხნია ჩხეიძემ ისევ მოახერხა ქუთაისის ციხეში ოსმალთა გარნიზონის ჩაყენება. ჩხეიძემ ლევან III დადიანი მიიმხრო და ბაგრატის ხელახლა ჩამოგდება და მოსპობა სცადა. ბრძოლა მოხდა 1669 წელს, სოფელ ჩხართან. ბაგრატმა გაიმარჯვა, სეხნია ჩხეიძე ბრძოლაში დაიღუპა.

კიდევ მოუხდა ბრძოლების გადახდა ბაგრატს, ცალკე დადიანთან და ცალკე გურიელთან. დადიანზე გაიმარჯვა, მაგრამ გიორგი გურიელმა ბაგრატი დაამარცხა, შეიპყრო და ახალციხეში ასლან ფაშას მიართვა. ბაგრატმა ასლან ფაშას ქრთამი და მძევალი – თავისი ძე ალექსანდრე მისცა და იმერეთის ტახტი ისევ დაიბრუნა. 1678 წელს არჩილ II-ეს კვლავ „მიერთვნენ ყოველნი იმერნი და დადიანი ლევან" და აიყვანეს იგი ქუთაისის ტახტზე, თუმცა მომდევნო 1679 წ. ისევ დაატოვებინეს იმერეთი არჩილს. ისევ ბაგრატ IV-ემ დაიჭირა ტახტი, უკვე მეოთხედ და ამჯერად სიკვდილამდე. სიკვდილი კი მის მომდევნო, 1681 წელს ეწვია. დაკრძალეს გელათს.

ვახტანგ ჭუჭუნაშვილი

იხილეთ „ბაგრატ IV"

არჩილი

იხილეთ „არჩილ II" – „კახეთის მეფენი"

დემეტრე გურიელი

იხილეთ „ბაგრატ IV"

გიორგი III გურიელი

ძე ქაიხოსრო გურიელისა, გურიის მთავარი 1664-1684 წ.წ. იმერეთის მეფე 1681-1683 წლებში. იყო იგი „კაცი მხნე, შემმართებული, მშვილდოსან-მოასპარეზე რჩეული, უღვთო, მესისხლე და ტყვის მსყიდველი უწყალო". 1681 წელს ისარგებლა იმით, რომ უფლისწული ალექსანდრე ბაგრატის ძე ქართლში იყო ტყვედ წაყვანილი და თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა, ცდილობდა ხელთ ეგდო ოდიშიც, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს, გურიელის მეფობით უკმაყოფილო იმერელმა თავადებმა, ქართლის მეფისა და ოსმალეთის ხონთქრის მხარდაჭერით, გიორგი გურიელი გააძევეს (1683 წ.) და იმერეთის ტახტზე ალექსანდრე ბაგრატის ძე აიყვანეს.

ალექსანდრე IV

ძე ბაგრატ IV-ისა, იმერეთის მეფე 1683-1690, 1691-1695 წლებში. იგი ბაგრატ მეფეს „ნაშალევად" გაეჩინა ვინმე „ლეჩხუმელი კოჩიალის" ცოლთან. მამამისის სიკვდილის ჟამს მძევლობაში იყო – ჯერ ახალციხის ფაშასთან, მერე ქართლის მეფე გიორგი XI-სთან. მათ გიორგი გურიელის მეფობას ისევ ალექსანდრეს მეფობა არჩიეს, ხონთქრის თანადგომით გურიელს იმერეთის ტახტი წაართვეს და ალექსანდრეს დაუმტკიცეს. ალექსანდრემ გამეფებისთანავე დაიახლოვა მაშინდელ იმერეთში ყველაზე გავლენიანი თავადი პაატა აბაშიძე, რომელსაც ცოლად შეერთო თავისი ნახევარდა დარეჯანი. შეითქვნენ ალექსანდრეს დასამხობად გიორგი III გურიელი, ლევან დადიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი. ბრძოლა მოხდა 1694, სოფელ როკითთან. ალექსანდრემ გაიმარჯვა. ბრძოლაში დაიღუპნენ გიორგი გურიელი და შოშიტა ერისთავი. დაიჭრა და მალე მოკვდა პაატა აბაშიძეც. 1688 წ. რაჭის საერისთავო დალაშქრა ალექსანდრე მეფემ. 1689 წელს ქართლის მეფე გიორგი XI-სა და ირანის შაჰს შორის ჩამოვარდნილ მტრობაში, ალექსანდრე ირანის მხარეს დადგა, რაც ქართველებსაც აღიზიანებდათ და ოსმალებსაც. 1690 წელს არჩილი ოსმალთა და

რაჭველთა ჯარით ქუთაისს გადავიდა და იმერეთის ტახტი მესამედ დაიჭირა. ალექსანდრე ქართლს გაიქცა, გიორგი XI-ის მეტოქე ერეკლე I ნაზირ-ალი-ხანთან. იმავე წელს სცადა ალექსანდრემ დაკარგული ტახტის დაბრუნება, მაგრამ სოფელ გოდოგანთან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა და ისევ გაიქცა ერეკლე I-თან თავის შესაფარებლად. ქართლიდან ახალციხეს გადავიდა, სალიმ ფაშას ქრთამი მისცა, ოსმალთა ჯარით ქუთაისს შემოეწყო და ისევ წაართვა ტახტი არჩილს (1691 წ.). არ დაიშალა გიორგი XI-ის მტრობა და იმერელ თავადთა ნების წინააღმდეგ ქართლზე ლაშქრობაც მოაწყო. ალი აიღო და გაძარცვა, აუჯანყდნენ თავადები, დაეცნენ სკანდაში მყოფს, შეიპყრეს და გიორგი XI-ეს მიჰგვარეს რუისში. გიორგის ბრძანებით იგი დაახრჩვეს და იქვე ეკლესიაში დამარხეს (1695 წ.).

გიორგი IV (გოჩია)

იმერეთის მეფე 1696 წელს, თუმცა იყო „ბაგრატიონთა ნათესავი", მაგრამ იმერეთის ტახტზე სრულიად შემთხვევით მოხვდა. იგი მაშინდელი იმერეთის ყველაზე გავლენიანმა თავადმა გიორგი აბაშიძემ შიძედ გაიხადა და სამეფო ტახტზეც იმან დასვა. იყო უვიცი (არაფერი გაეგებოდა „თვინიერ გლეხთა მუშაკობისა"), ართვალი, ხეიბარი, ქონდრის კაცი და „გოჩიაც" ამისთვის დაურქმევიათ. ერთი წლის შემდეგ 1697 წელს გიორგი გოჩია თავადებმა ძალდატანებით გაისროლეს სასახლიდან და იმერეთის მეფედ ისევ არჩილი მოიყვანეს.

სვიმონი

ძე ალექსანდრე IV-ისა, იმერეთის მეფე 1698-1701 წლებში. იგი ქართლის ხიზნობაში იზრდებოდა, ერეკლე I-ის კარზე. 1698 წელს ოსმალებმა იმერეთში მეხუთედ გამეფებული არჩილი მეხუთედ განდევნეს და მის ნაცვლად იმერეთის ტახტის „კანონიერი მემკვიდრე" სვიმონი გაამეფეს. თავადთა შორის ისევ გიორგი აბაშიძე ჰპირველობდა, მან თავისი ასული ანიკა ცოლად შერთო ახალ მეფეს. სვიმონი ყოველმხრივ უნიათო საჭეთმპყრობელი აღმოჩნდა: ოჯახურ ჭინჭყლსაც თავი ვერ გაართვა: აუხირდა ცოლისდა თამარი (მამამისის ალექსადრე IV-ის ნაცოლარი), სიმამრიც კრიჭაში ჩაუდგა და მეფე ქართლში გაიქცა.

მამია III გურიელი გიორგი აბაშიძის აღზევებას არ შეურიგდა, მიიმხრო ახალციხის ფაშა და მისი დახმარებით სვიმონი ქუთაისის ტახტზე მოაბრუნა. თანაც სვიმონს მამიამ თავისი და შერთო ცოლად. გიორგი აბაშიძემ სვიმონის მტრობა მაინც არ დაიშალა, თვითონ მამია გურიელს მეფობა აღუთქვა და სიძე მოაკვლევინა (1701 წ.).

ვახტანგ ჭუჭუნაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75, 88, 93, 97,102,106,111.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

სტალინი ცვლიდა სახელმწიფოს მთელ საფუძველს. უბრუნებდა მას ოდინდელი რუსული სახელმწიფოს ფესვებს, აუქმებდა ყველაფერში დამანგრეველი რევოლუციური სტიქიის ფესვებს. სტალინი აღადგენდა იმ რუსულს, რაც, თითქოს, გაანადგურეს ბოლშევიკებმა რევოლუციის მიმდინარეობის დროს. და აი, ახლა კვლავ, მეგობრების გასახარად და მტრების გასაღიზიანებლად. ამავე დროს ინარჩუნებდა ყოველივე კარგს, რაც, რა თქმა უნდა, იყო საბჭოთა ხელისუფლებაში. რუსეთის უმთავრესი საყრდენი ყოველთვის იყო მართლმადიდებლობა. სწორედ ამიტომ ასეთი სიმკაცრით „რევოლუციონერები, რომლებსაც რუსეთის ისტორიაში ყოველთვის ჰყავდათ სულიერი და ფინანსური „მამები“ ჩვენი გეოპოლიტიკური მეტოქეების დედაქალაქებში, თავს დაესხნენ ეკლესიას და რწმენას. ახლა, როდესაც „ლენინურმა გვარდიამ“ მიიღო თავისი საზღაური, სტალინისთვის დადგა დრო – დაებრუნებინა რუსეთის ცივილიზაციის ეს შემადგენელი ნაწილიც. 1942 წლის 30 დეკემბერს, სტალინგრადის გააფთრებული ბრძოლის დროს, საპატრიარქოს წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა სერგეიმ მიმართა მორწმუნეებს მოწოდებით – შეეგროვებინათ სახსრები სატანკო კოლონის „დმიტრი დონსკოის“ მშენებლობისათვის. 1943 წლის 5 იანვარს პირველად მოხდა დეპეშების გაცვლა მიტროპოლიტსა და სტალინს შორის, რომელმაც მადლობა გადაუხადა რუსულ სამღვდელოებას და მორწმუნეებს. ამას მოჰყვა განკარგულება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში სპეციალური ანგარიშის გახსნის შესახებ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. 1943 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში გამართულ კრებაზე მიტროპოლიტი სერგეი აირჩიეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად წმინდა სინოდის საპატრიარქოსთან. ამის შემდეგ კრემლში სტალინისა და პატრიარქის მეთაურობით მოეწყო იერარქიული ეკლესიის მთელი დელეგაციის შეხვედრა.

სწორედ სტალინმა აღადგინა პატრიარქის პოსტი რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელიც გააუქმა ჯერ კიდევ პეტრე პირველმა. ეს სიმართლეა. ის კი, რომ ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ლიბერალმა ისტორიკოსებმა რაზუნ-სუვოროვის მეთაურობით, – ეს არის არა ფაქტები, არამედ ემოციები და გააზრებანი. „ბოროტ“ სტალინს სურდა, ხელში ჩაეგდო მთელი მსოფლიო, ყველგან კომუნიზმის დამკვიდრება უნდოდა. აბა როგორ? და სწორედ ამიტომ აღმართა ჯარისკაცების მხრებზე „თეთრგვარდიული“ სამხრეულები, დაუბრუნა რუსეთს საპატრიარქო. **მიაქციეთ ყურადღება, რომ რუსული სათავო წყაროებისკენ დაბრუნების ყველა ღონისძიება სტალინმა განახორციელა სულაც არა დამარცხების მომენტში, არამედ გამარჯვების მომენტში!** არ შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკური რეჟიმი დათანხმდა, როდესაც უფსკრულის პირას იდგა... რაც გინდოდა – დათანხმდებოდა, ვინაიდან დამარცხების ზღვართან იდგა! არა 1941 წელს, არა როდესაც გერმანელები მოსკოვის კედლებთან იდგნენ, არამედ 1943 წელს, როდესაც ომში გარდატეხა დაიწყო. სტალინმა კურსი რუსული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე აიღო. ეს მეტად მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ ეს მოხდა გულით, გაგებით, და არა სიტუაციის მიხედვით.

ამ ორი მოვლენის შუალედში კი პირდაპირ თავს დაესხა „სიწმინდეს“ ყოველი მარქსისტისთვის. **1943 წლის მაისში კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა შეიტანა წინადადება კომინტერნის, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრის, დაშლის შესახებ. კომინტერნის სექციებმა დაამტკიცეს ეს წინადადება. მსოფლიო რევოლუციის შტაბი, სრულიად უბრალოდ, დაიშალა.** კომინტერნის დათხოვნა ომის გადამწყვეტი შეტაკების – კურსკის ბრძოლის წინ მოხდა. საჭირო იყო, გეფიქრა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის შესახებ. გერმანიის დამარცხება უკვე დროის საკითხი იყო. ამიტომ კომინტერნის დათხოვნა – ეს არ იყო უბრალოდ გადაწყვეტილება, საბოლოოდ „დაემშვიდობო“ რევოლუციას. გარდა ყოველივესი – ესაა დასავლეთის მიწვევა მოლაპარაკებებზე. სტალინი უჩვენებდა, რომ სსრ კავშირი იქნება გასაგები და პრაგმატული პარტნიორი ლონდონისა და ვაშინგტონისთვის. საბჭოთა კავშირი იქნება ქვეყანა, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ პრაგმატულად გასაგები ინტერესების შესაბამისად, და არა იდეოლოგიური სიახლოვის პრინციპების შესაბამისად.

მაგრამ ყველაზე უკეთესად „მსოფლიო რევოლუციის შტაბის“ დაშლის მიზეზებს უპასუხა თავად უმაღლესმა მთავარსარდალმა.

ამხ. ი.ბ. სტალინის პასუხი ინგლისის საგენტო როიტერის მთავარი კორესპონდენტის შეკითხვაზე (სტალინის პასუხი დათარიღებულია 1943 წლის 28 მაისით).

„ინგლისის სააგენტო როიტერის მოსკოველმა კორესპონდენტმა, ბ.-მა კინგმა მიმართა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი.ბ. სტალინს წერილით, რომელშიც ის ითხოვდა, უპასუხოს შეკითხვას, რაც ინგლისის საზოგადოებრიობას აინტერესებს. ამხ. ი.ბ. სტალინმა უპასუხა ბ-ნ გინგს შემდეგი წერილით:

ბატონო კინგ!

მივიღე თქვენგან თხოვნა, ვუპასუხო შეკითხვას, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის დათხოვნას შეეხება. გიგზავნით ჩემ პასუხს.

შეკითხვა: ბრიტანული კომენტარები გადაწყვეტილების შესახებ კომინტერნის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მეტად მართებული იყო. როგორია საბჭოთა თვალსაზრისი ამ შეკითხვაზე და მის გავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობების მომავალთან დაკავშირებით?

პასუხი: კომუნისტური ინტერნაციონალიზმის დათხოვნა სწორი და დროულია, ვინაიდან იგი ამსუბუქებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის საერთო შეტევის ორგანიზაციას საერთო მტრის – ჰიტლერიზმის წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალიზმის დათხოვნა სწორია, რადგან:

ა) იგი ააშკარავებს ჰიტლერელთა სიცრუეს იმის შესახებ, რომ მოსკოვს თითქოს განზრახული აქვს, ჩაერიოს სხვა სახელმწიფოების ცხოვრებაში და მოახდინოს მათი ბოლშევიზირება. ამ სიცრუეს ამიერიდან ბოლო ეღება.

ბ) იგი ააშკარავებს კომუნიზმის მოწინააღმდეგეთა სიცრუეს მუშათა მოძრაობაში იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები მოქმედებენ თითქოს არა თავისი ხალხის ინტერესებისთვის, არამედ გარედან კარნახით. ამ ჭორსაც ამიერიდან ბოლო ეღება.

გ) იგი ამსუბუქებს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების პატრიოტთა მუშაობას თავისი ქვეყნის პროგრესული ძალების გაერთიანებისათვის, მათი პარტიულობისა და რელიგიური რწმენის დამოუკიდებლად, ერთიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბანაკში ბრძოლის გაფართოებისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ.

დ) იგი ამსუბუქებს ყველა ქვეყნის პატრიოტების მუშაობას ყელა თავისუფლებისმოყვარე ხალხების გაერთიანებისათვის ერთიან საერთაშორისო ბანაკში ჰიტლერიზმის მსოფლიო ბატონობის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რითაც ასუფთავებს გზას მომავალში ხალხთა თანამეგობრობის ორგანიზაციისთვის მათი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ვფიქრობ, რომ ყველა ეს ვითარება, ერთად აღებული, მიგვიყვანს მოკავშირეებისა და ერების სხვა გაერთიანებების შემდგომ განმტკიცებასთან მათს ბრძოლაში ჰიტლერულ ტირანიაზე გამარჯვებისათვის.

მიმაჩნია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის დათხოვნა სავსებით თანადროულია, ვინაიდან სწორედ ახლა, როდესაც ფაშისტური მხეცი ძაბავს თავის უკანასკნელ ძალებს, აუცილებელია, მოვაწყოთ საერთო შეტევა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებისა იმისთვის, რომ ბოლო მოვუღოთ ამ მხეცს და გადავარჩინოთ ხალხები ფაშისტური ტანჯვისაგან“.

და მცირედი შტრიხიც. ძალიან პატარა. თუ ცოტა წინ გავიჭრებით. მოკავშირეების ხელმძღვანელთა კონფერენციის შემდეგ თეირანიდან გამგზავრების

დროს სტალინი რამდენიმე ადგილას შეჩერდა. თეირანის ვაგზალზე მას უკვე აღარ ეცვა მარშლის ტანსაცმელი, არამედ იყო უკვე ჯარისკაცის შინელში და ქუდში, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე. ასეთი სახით უმაღლესი ხანგრძლივად იდგა მოსკოვისკენ მიმავალ გზაზე. ეს გაჩერება იყო სტალინგრადში – მახლობელი ადამიანების თანხლებით მან შემოიარა დანგრეული ქალაქი. რატომ, თუ მას არ ჰქონია არანაირი თანაგრძნობისა და შეცოდების უნარი, როგორც ამაში ცდილობენ ჩვენ დარწმუნებას „დესტალინიზატორები“?

სტალინი ჩავიდა სტალინგრადში, ვინაიდან უნდოდა პატივი მიეგო მისი დამცველებისათვის და პირადად ენახა ეს ლეგენდარული ადგილი.

სტალინი მანქანა არ ყოფილა.

სტალინი ადამიანი იყო.

... და, სხვათა შორის, მას ჰქონდა იუმორის შესანიშნავი გრძნობა.

7

სტალინის იუმორი

ძნელია, გაარჩიო ჭეშმარიტების ხმა აღგზნებული პარტიების ხმაურში.
ფრიდრიხ შილერი

ანეკდოტები პოლიტიკურ მოღვაწეზე – ეს ხალხის აღიარების ნიშანია. ხალხის სიყვარული უტყუარად ამკობს თავისი გრძნობების ობიექტს დადებითი თვისებებით. აღრმავებს და აფართოებს იმას, რაც სინამდვილში ჰქონდა მას. სტალინს იუმორის შესანიშნავი გრძნობა ჰქონდა. ამას ბევრი მისი თანამედროვე აღნიშნავდა. ბელადის ბრწყინვალე ხუმრობის მაგალითებმა ბევრი მემუარი შეამკო, მაგრამ ხალხური იუმორი ისეთია, როგორც ზღვის ტალღა. იგი ხვეწავს იმას, რაც არის, აძლევს მას ახალ ფორმას. სტალინის ასეთი იუმორი დახვეწილი იყო დროით.

ანეკდოტები იოსებ ბესარიონის ძეზე უამრავია. მათი ნაწილი სწორად გადმოგვცემს რეალობას, ნაწილი უბრალოდ აღწერს მას, რაც იყო. ზოგიერთ ისტორიას კი, როგორც ეს მიღებულია ნებისმიერ მითმთხზველობაში, უბრალოდ იგონებენ, რეალური ადამიანების მოქმედებებისა და სიტყვების შესაბამისად. მათი ქცევისა და გამონათქვამების გამოყენებით. მიაქციეთ ყურადღება – სტალინზე ანეკდოტებისა და სასაცილო ისტორიების უდიდესი უმრავლესობა მის სახეს წარმოგვიჩენს დადებითად. უარყოფითი წარმოდგენა ბელადზე საკმაოდ იშვიათად გვხვდება. დღეს, როდესაც ამ ისტორიებს კითხულობ, ხშირად შეუძლებელია, გამოარჩიო მითი სიმართლისაგან. ამიტომ ისტორიების ნაწილი სტალინის იუმორის შესახებ წარმოდგენილი იქნება მათი წარმოქმნის წყაროზე მიუთითებლად.

ვიწყებთ ანეკდოტით, რომელსაც ხშირად ჰყვებოდნენ ომისშემდგომ გერმანიაში. მასში თავმოყრილია მთელი მწარე სიმართლე 1941 წლის 22 ივნისის შესახებ გერმანული მხრიდან.

როდესაც მოსკოვიდან თავის ბანაკში დაბრუნდა, ტყვე გერმანელმა ჯარისკაცმა შეხედა ორი ნახევარსფეროს რუკას, ბარაკში რომ ეკიდა, და ამხანაგს ჰკითხა:

– რა არის ეს პატარა ყავისფერი ლაქა ევროპის ცენტრში?

– ეს გერმანიაა.

– ეს თვალუწვდენელი ვარდისფერი ტერიტორია, თვით წყნარ ოკეანემდე რომაა გადაჭიმული.

– ეს საბჭოთა კავშირია.

– უნახავს ფიურერს ეს რუკა, სანამ აქ გამოგვაგზავნიდა?!

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114

„დიდი ბედნიერებაა, რომ იგი ჩვენს თეატრს ამდიდრებს და ამშვენებს“

შეხვედრა განუმეორებელ პრიმადონა ცისანა ტატიშვილთან

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საოპერო სცენის განუმეორებელი პრიმადონა, ქალბატონი ცისანა ტატიშვილი.

დიდმა მაესტრომ ალფრედო კრაუსმა, როცა მისი ხმა მოისმინა, თქვა: „იგი, ტებალდიზე უფრო ტებალდია“... „მე კი ცისანა ტატიშვილს ვუწოდებ ქალთა ორფეოსს, ყველაფრის დამტევს თავის ხელოვნებაში“, — ამბობს გამოჩენილი მომღერალი ნოდარ ანდღულაძე, ცისანა ტატიშვილის სცენური პარტნიორი, მისი შემოქმედების ერთ-ერთი მხურვალე გულშემატკივარი და შემფასებელი, გენიალური სოპრანოს წარმატებებისა და სიხარულის გამზიარებელი ევროპისა და ყოფილ საბჭოთა სცენებზე...

ქალბატონი ცისანას მიერ შესრულებულ პარტიებს — ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ლიზა (პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ლეონორა, აიდა, ამნერისი, დეზდემონა, ამელია (ჯ. ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“), ტოსკა (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), სანტუცა (პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“), ელიზავეტა, ებოლი (ჯ. ვერდის „დონ კარლოსი“), სენატა, ჰერტრუდა (რ. ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“), ლაურეტა (ჯ. პუჩინის „ჯანის კიკი“), სალომეა (რ. შტრაუსის „სალომეა“) და სხვ. აღფრთოვანებაში მოჰყავდა მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავები და თაყვანისმცემლები.

ქალბატონი ცისანა რიხარდ შტრაუსის „სალომეას“ პარტიის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო შემსრულებელია ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამიტომ მსოფლიო მუსიკის ენციკლოპედიაში იგი სალომეას შემსრულებელთა მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია შესული.

სხვა მრავალ ჯილდოსთან ერთად, 2010 წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წინ, ქალბატონ ცისანა ტატიშვილის სახელობითი ვარსკვლავიც გაიხსნა, მაგრამ რა არის რეგალიები იმასთან შედარებით, რასაც ნიშნავს სახელი და გვარი ცისანა ტატიშვილი.

— ქ-ნო ცისანა, მიხარია, რომ კვლავ მომეცა თქვენთან საუბრის საშუალება, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ამიტომ მინდა, გთხოვოთ, გაიხსენოთ თქვენი ბავშვობა, მშობლები...

— ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, სოლოლაკში გავატარე. დედაჩემი ქეთევან ზანდუკელი, ულამაზესი ქალბატონი, მარტო გვზრდიდა მე და ჩემს ძმას. მისი მონაყოლით და მოგონებებით ვიცნობდით და გვიყვარდა მამა — ბეჟან ტატიშვილი.

დედაზე 20 წლით უფროსს, თავის დროზე პარიზში სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს, ირკუტსკში ჰქონდა სამხედრო განათლება მიღებული, მაგრამ მაინც სამშობლოში დაბრუნდა და ერთ ხანს სამხედრო კომისარი იყო. ბოლოს კი სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრას ხელმძღვანელობდა.

ერთ ავბედით საღამოს, სუსხიან 30 დეკემბერს, მეუღლისა და ახალდაბადებული ქალიშვილის მონახულების შემდეგ, მამა სახლისკენ გაემართა, ამის შემდეგ, ის აღარავის უნახავს. მოგვიანებით დედამ გაიგო, რომ მამა დააპატიმრეს და დახვრიტეს. დედას სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მეორედ აღარ გათხოვილა.

საკმაოდ გვიჭირდა, დედა მარტო გვზრდიდა. მე-3 კურსზე სწავლისას იძულებული გახდა, უნივერსიტეტისთვის თავი დაენებებინა და მუშაობა დაეწყო. ასეთი რთული ცხოვრების მიუხედავად, დედაჩემი სულიერად ძლიერ, კეთილშობილ ადამიანად დარჩა. ის ჩვენც გვინერგავდა სიკეთესა და ერთმანეთის სიყვარულს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მას შვილების აღზრდაში იოტისოდენა შეცდომა არ დაუშვია. სამაგალითო დედმამიშვილები ვიყავით ყოველთვის მე და ჩემი ძმა, ჩემი გოგი. იგი ყოველთვის იყო ჩემთვის მისაბაძი და სანიმუშო პიროვნება. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მისი რჩევით გავხდი მომღერალი. იგი იყო ჩემი მხურვალე გულშემატკივარი. ჩემთან ერთად განიცდიდა თითოეულ ჩემს გამოსვლას და ეამაყებოდა ყოველი ჩემი წარმატება. უზარმაზარი სიცარიელე დამიტოვა გულში მისმა უდროოდ წასვლამ, რასაც მხოლოდ მისი ოჯახი მივსებს, — მეუღლე მანანა საბაშვილი, შვილები ბეჟანი და ქეთევანი, შვილიშვილი გიორგი...

— თქვენი მუსიკალური კარიერა როგორ დაიწყო?

— ბავშვობიდანვე მქონდა სიმღერის უსაზღვრო სიყვარული და ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო, რომ მომღერალი გავხდებოდი. მახსოვს, 5 წლის ვიყავი, როცა ჩვენს მეზობელთან სტუმრად ჩამოვიდა მოსკოვის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის განყოფილების გამგე. მან მომისმინა და დედაჩემს უთხრა: „ამ გოგოს ისეთი ხმა აქვს, დიდი მომავალი ელისო“. შემდეგ მიმიყვანეს სანდრო ინაშვილთან (პირველი მურმანი), რომელიც იმ დროისათვის უკვე ავად იყო და ამიტომ თავის ასისტენტს, ქალბატონ გულნარა ქართველიშვილს დაუძახა და უთხრა: „ამეცადინე ეს გოგო, იცოდე, იგი სახელს გაგითქვამსო“. ასე მოვხვდი ქალბატონ გულნარასთან, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩემი, როგორც მომღერლის ჩამოყალიბებაში.

იმ დროს მე-4 კურსზე ვიყავი, როცა ქ-ნი გულნარა სტაჟირებაზე გაემგზავრა იტალიაში და ვინაიდან ერთი წელი მიცდებოდა, ჩამრიცხეს ბატონ დიმიტრი მჭედლიძის კლასში. იგი მაშინ დიდი თეატრის სოლისტი და ამავე დროს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი გახლდათ. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, ერთი წლის შემდეგ მიმიღეს თბილისის ოპერის თეატრში, ეს გახლდათ 1964 წელი. სხვათა შორის, იმ წელს ვერ ვაჩვენე თავი ისე, როგორც საჭირო იყო, ამიტომ ისეთი პატარა პარტიები მამღერეს, რასაც კოლორიტული სოპრანოები მღეროდნენ. მე ეს, რა თქმა უნდა, როგორც შემოქმედს, გაზრდის საშუალებას არ მომცემდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, როგორც პროფესიონალურად უვარგისი მომღერალი, გავენთავისუფლებინე თეატრიდან, ჩემი პედაგოგის გულნარა ქართველიშვილის ყოფილი მეუღლე გახლდათ ბატონი თენგიზ მუშკუდიანი. მან იცოდა ჩემი მონაცემები, ძალიან უყვარდა ჩემი სიმღერის მოსმენა, იმდენად, რომ ჩემს გაკვეთილებზე ყოველთვის რჩებოდა. მაშინ იგი ძალიან პოპულარული პიროვნება გახლდათ და მის სიტყვას გარკვეული ძალაც ჰქონდა. თბილისის ოპერის დირექტორი მაშინ იყო ბატონი არჩილ ჩიმაკაძე, რომელსაც თენგიზმა უთხრა, რომ ჩემი განთავისუფლების შესახებ ბრძანებაზე ხელი არავითარ შემთხვევაში არ მოეწერა, ვიდრე არ მომისმენდა. ბატონმა არჩილმა დაუჯერა. გამართეს კონცერტი, სადაც საუკეთესო მომღერლებს შორის მეც უნდა გამოვსულიყავი. ჩემმა გამოსვლამ იმდენად აღაფრთოვანა ბატონი არჩილი, ამხელა კაცი დგებოდა და სულ შუბლზე ირტყამდა ხელს — „რას მიშვებოდნენ, კაცო, მღუპავდნენ თურმე, ასეთი მომღერალი როგორ უნდა გამეშვა თეატრიდანო“.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ დაიწყო ჩემი აღმასვლის პროცესი: „აბესალომ და ეთერში“ ეთერის პარტია შევასრულე, ამას მოჰყვა „დონ-ჟუანში“ — დონა ანას პარტია, „სოფლის პატიოსნება“ „ტრუბადური“, „ოტელო“, ვაგნერის ოპერები და კიდევ მრავალი პარტია.

თეატრში მოღვაწეობის პერიოდში ჩემი პედაგოგი და კონსულტანტი გახლდათ ბატონი ნოდარ ანდღულაძე. მისი ძალიან მადლიერი ვარ, რადგან უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს შემოქმედებით ზრდაზე.

— მაინც რომელი პარტია უკეთ გაითავისეთ და გამორჩეულად გიყვარდათ?

— ერთმანეთზე უკეთესი საოპერო პარტიები მაქვს ნამღერი. ძალიან მიყვარს ჩემი პერსონაჟები და ყოველთვის წარმოვიდგენდი თავს იმ ეპოქის გმირად, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ყურადღებით ვკითხულობდი ლიბრეტოს და ვცდილობდი, დავმსგავსებოდი მათ.

მიყვარს ჩემი ამელია, ლეონორა, დეზდემონა, ებოლი, აიდა, დონა ანნა, სანტუცა, სალომეა.... მენატრებიან... ამ სახეებმა მომიტანეს დიდი აღიარება, ხალხის სიყვარული. თუმცა, ყველაზე კომფორტულად, ამნერისის როლში ვგრძნობდი თავს. ამნერისი ჩემი უსაყვარლესი პარტიაა და ძალიან მიმზიდველი. დიდი სურვილი მქონდა აგრეთვე „დონ კარლოსში“ ებოლის პარტიაზე მომესინჯა ძალები და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან კმაყოფილი დავრჩი, როცა წარმატებით ვიმღერე.

— ამბობთ, ბედი პარტნიორებშიც გწყალობდათ, კონცერტმეისტერებშიც და დირიჟორებშიც.

— მართლა ძალიან განებივრებული ვიყავი ამ მხრივ. ვოკალისტის წარმატებისთვის განმსაზღვრელია კონცერტმეისტერის გაწაფულობა და კომპეტენტურობა. მე მყავდნენ არაჩვეულებრივი კონცერტმეისტერები ტატიანა დუნენკო, ნანა დიმიტრიადი, ვაჟა ჩაჩავა, რომლებსაც უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩემი, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბების საქმეში. მათი სახელის გახსენებაზე, თვალწინ წარმომიდგება ჩვენი ტრიუმფალური გამოსვლები მსმენელით სავსე დარბაზებში... ლონდონში, პალერმოში, ვენაში, კვიპროსზე, სტოკჰოლმში, კიევში, ათენში, მოსკოვსა და პეტერბურგში...

მსოფლიოში, თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი დირიჟორები, როგორიც იყო ოდისეი დიმიტრიადი.

ვახტანგ ფალიაშვილს, დიდიმ მირცხულავას, თამაზ ჯაფარიძეს, რეზო ტაკიძეს წუნს ვერ უპოვიდით... შესანიშნავი დასი იყო, ბრწყინვალე მომღერლები, ორკესტრი, პომპეზური გუნდი, ხარისხიანი ხმებით დაკომპლექტებული.

ბედნიერი ვარ, რომ მქონდა საშუალება, ვყოფილიყავი ბატონი პეტრე ამირანაშვილის პარტნიორი. გამიჭირდება, გადმოვცე ის შთაბეჭდილება, რაც დაგროვილი მაქვს დავით გამრეკელზე.

ყოველთვის მახარებდა ჩემი კოლეგების წარმატებები. ნოდარ ანდღულაძის ხმის მოსმენისთანავე უმართავი ხდებოდა მსმენელი. ტაშით ხვდებოდნენ მის გამოჩენას. იშვიათად, რომ ადამიანს ერთნაირად ამშვენებდეს ძვირფასი ხმა, განუმეორებელი გარეგნობა და ინტელექტი.

სწორედ ჭეშმარიტი არტისტი და უბადლო ვოკალისტი იყო ზურაბ ანჯაფარიძე.

ჩვენს თეატრში, იმ დროს, მე-20 საუკუნის საუკეთესო ხმები და მომღერლები მოღვაწეობდნენ. ხშირად მახსენდება რევაზ კაკაბაძე და ჩვენი გასტროლები მოსკოვში. ოპერა „ტრუბადურზე“, დიდი თეატრის დარბაზი მსმენელს ვერ იტევდა. სრული ანშლაგით ჩაიარა სპექტაკლმა. მე, ნოდარ ანდღულაძემ, რეზო კაკაბაძემ და თამარ გურგენიძემ ვიმღერეთ. ახლაც კი ყურში ჩამესმის მქუხარე ტაშის ხმა, რომელმაც ქარბორბალასავით მრავალჯერ გადაურბინა დიდი თეატრის დარბაზს. სპექტაკლის ბოლოს, მსახიობთა შესასვლელთან, ათასობით გულშემატკივარი დაგხვდა, მანქანამდე მისვლის საშუალებას არ გვაძლევდნენ, ხელით გვეხებოდნენ, ჩვენს სახელებს სკანდირებდნენ.

მოსკოვში ბევრჯერ მიმღერია ზურაბ სოტკილავასთან.

ქვეყნის არც ერთ წამყვან თეატრს არ ყოლია მედეა ამირანაშვილისნაირი სოპრანო. მედიკო ბრწყინვალე არტისტი და ვოკალისტი იყო.

— ქალბატონო ცისანა, საბერძნეთში მარია კალასს გადარებდნენ, ესპანეთში — ვიქტორია დე ლოსანჰელსს, იტალიაში — რენატა ტებალდის... ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ იყო გულისტკენაც, იმ ეპოქის გამო, რომელშიც გიწევდათ ცხოვრება, მხედველობაში მაქვს სასტიკი საბჭოთა რეჟიმი, რამაც ბევრ რამეში შეგიშალათ ხელი.

— მქონდა შემოთავაზებები გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ესპანური, იტალიური თეატრების ხელმძღვანელების მიერ, მთავაზობდნენ „კოვენტ გარდენში“, „გრანდ ოპერაში“, „ლისეოში“, ათენის ეროვნულ ოპერაში, გერმანიაში — მიუნჰენის, ბერლინის, კიოლნის, ბაზელის, ბონის თეატრებში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, შვედეთში დარჩენას და კარიერის იქ გაგრძელებას, მაგრამ ყველა ჩემი გზა, მკაცრად იყო გაკონტროლებული უშიშროების მიერ.

ერთ-ერთი საგასტროლო ტურნეს დროს გერმანიაში, მიუნჰენში ვიმღერე ოპერა „ტოსკა“. სპექტაკლის შემდეგ ჩემთან შემოვიდნენ ბაზელის, კიოლნის, ბერლინისა და ბონის თეატრების დირქტორები და შემომთავაზეს მათ თეატრებში მემღერა „ტრუბადური“. „სახკონცერტთან“ შეუთანხმებლად ვერ დავთანხმდებოდი და როცა დავრეკე, ასეთი პასუხი მივიღე: „დაბრუნდი, თორემ ვეღარასოდეს ეღირსები ვერც ერთ გასტროლს“...

კარგად ვიცოდი ევროპაში წასული და იქ დარჩენილი დიდი თეატრის რამდენიმე სოლისტის ოჯახის წევრთა ბედი, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდა იმჟამინდელი „კაგებე“ მათ — ააწიოკეს, დააპატიმრეს და ა.შ. საკუთარი კეთილდღეობისთვის არ გავწირავდი ჩემს ძმას, ოჯახს და ახლობლებს. მაშინაც უარი ვთქვი, როცა მოსკოვის დიდი თეატრში გადასვლა შემომთავაზეს. მე თბილისის, ჩემი ოჯახის, მეგობრების და საყვარელი თეატრის გარეშე ცხოვრებას ვერ შევძლებდი. დავრჩი საქართველოში და ამით სრულიად კმაყოფილი ვარ. მატერიალური კეთილდღეობა წამიერია, ჩემი ხალხის სიყვარული კი მუდმივი.

— ქ-ნო ცისანა, თქვენ, ასეთი, დიდებულ ქალბატონს, მეუღლეც დიდებული გყავდათ. მქონდა ბედნიერება მცნობოდა ბატონი გოგი თოთიბაძე, შესანიშნავი ადამიანი, ბრწყინვალე ფერმწერი და დიდი ხელოვანი.

— 1981 წელს ვიქორწინეთ და შევქმენით ურთიერთგაგებით, სიყვარულით, პატივისცემით გამსჭვალული ოჯახი. იგი იყო ჩემი დიდი მეგობარი და გულშემატკივარი. გოგი მეტად ელეგანტური, განათლებული, მომხიბვლელი ადამიანი იყო. ის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული ენის გრამატიკის შემდგენელის სილოვან ხუნდაძის შვილიშვილი იყო. გოგი ჩემი შემოქმედების ზუსტი და ობიექტური შემფასებელი იყო, რაშიც მუსიკალური განათლება ეხმარებოდა. იგი იყო სულით ხორცამდე შემოქმედი, გამორჩეული მხატვარი, ამასთან მისაბაძი ორგანიზატორიც. 10 წლის განმავლობაში თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გახლდათ.

დიდი შემოქმედებითი ვნებათაღელვა ახლდა ჩვენს ცხოვრებას სამი ათეული წლის მანძილზე როგორც მე ვღელავდი მის გამოფენებზე, ისე ის კარგავდა სიმშვიდეს ჩემი სპექტაკლების დროს...

დღევანდელი ინტერვიუ მინდა, ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის სიტყვებით დავასრულო: **„ცისანა დიდი ოსტატია, მეტრი, რომელიც ახერხებს, აქტიორული თავისუფლება შეუთავსოს მუსიკის ღრმა შეგრძნებებს. ბგერების მდიდარი ფერებით ხატავს იგი თავის პერსონაჟებს. ცისანას ხმას ბევრი ტრადიციული თეატრი ოცნებობს და რაოდენ დიდი ბედნიერებაა, რომ იგი ჩვენს თეატრს ამდიდრებს და ამშვენებს...“**

ირინა ტატიშვილი

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ივესტორს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრაკალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „მეტეხი II" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 235 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრაკალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	31 577 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3157,7 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან
		არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 15		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას მაქსიმალურად იქნეს დაცული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობები, რათა უხვი ნალექების დროს არ მოხდეს მეწყერსაშიში პროცესების გააქტიურება, ხოლო გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და სათანადო ღონისძიებების დასახვა. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და სათანადო ღონისძიებების დასახვა. თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით. ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის. კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა. ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13

		მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია, „ციხისძირის“ ქვიშაქვის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 10 400 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 952 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	195,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 176 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 16		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება და დასუფთავება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ზესტაფონი,თამარ მეფის ქუჩა, N100, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 555 მ^3/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ზესტაფონი,თამარ მეფის ქუჩა, N100.
8	აუქციონის საწყისი ფასი	83 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	8,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი	242 ლარი
	სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 17		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – (სამივე ჭაზე ერთად) 30 000 მ^3/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა
8	აუქციონის საწყისი ფასი	970 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	97 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	685 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 18		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა

		საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წერეთელი მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 400 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წერეთელი
8	აუქციონის საწყისი ფასი	175 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	17,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	288 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
	დრო და თარიღი	
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 19		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს
		დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კახათის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 500 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. კახათის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	208 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 20		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ქუთაისი, ზ.ანჯაფარიძის ქუჩა, N78, (56,80), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 095 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ქუთაისი,ზ.ანჯაფარიძის ქუჩა, N78, (56,80)
8	აუქციონის საწყისი ფასი	35 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	218 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 12 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ვითარება

ავთანდილ ხურციძე – გაუგებრობის მსხვერპლი?



ძართველი **მოკრივის ავთანდილ ხურციძის ფეისბუქ-გვერდზე სპორტსმენის სახელით გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადგილი აქვს გაუგებრობას.**

„მეგობრებო, როგორც იცით, გუშინ გავემგზავრე ამერიკაში, რათა დამეწყო მომზადება 8 ივლისის ბრძოლისთვის. ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე მოხდა ძალიან სერიოზული გაუგებრობა. იმედი მაქვს, უახლოეს საათებში ყველაფერი გაირკვევა და ისევ მომეცემა საშუალება განვაგრძო ვარჯიში სანდერსთან საჩხუბრად. მადლობა, რომ ყოველ წამს ვგრძნობ თქვენს მხარდაჭერას“, – ნათქვამია განცხადებაში.

გუშინვე გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომელთაგან 15 ეროვნებით ქართველია. დაკავებულთა შორის დასახელდნენ ცნობილი სპორტსმენები ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი.

ავთანდილ ხურციძე WBO-ს ვერსიით მსოფლიოს დროებითი ჩემპიონია, ლევან მაყაშვილი კი შერეული ორთაბრძოლების – UFC-ს მებრძოლი.

ბეჟან დოლიძე

◎ ფარიკაობა

ევროპას რაპირა გახსნის

საქართველოს დედაქალაქი 12-17 ივნისს მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. დიღომში, ტანვარჯიშის სასახლეში 40 ქვეყნის 408 სპორტსმენი (235 ვაჟი და 173 ქალი) იბრძოლებს მედლებისთვის სამივე დისციპლინაში. ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა მჭედლიძე, გენერალური მდივანი დავით სახვაძე და ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის გენერალური მდივანი მაქს გიოტერი დაესწრნენ.

„ქართული ფარიკაობის შემდგომი განვითარებისთვის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, – გვითხრა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა,** – სპორტის ამ სახეობაში ევროპული ელიტის სტუმრობა ჩვენთან ფარიკაობის ახალ აღმავლობას გამოიწვევს. თბილისურ ბატალიებში ქართველთაგან წარმატებებს ველით – მათ ხომ არაერთ შეჯიბრებაში გამოუჩენიათ თავი. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ტანვარჯიშის სასახლეში მისული ქომაგები დაძაბული, საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდებიან“.

10-11 ივნისს თბილისში ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელიც ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, კომისიებსა და მათ ხელმძღვანელებს აირჩევს, 12 ივნისს კი პაექრობებში რაპირით მოფარიკავე ვაჟები ჩაებმებიან. საქართველოს სპორტულ ღირსებას 23-წლამდელებში ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა ღაღანიძე, არჩილ უგულავა და სანდრო სიხარულიძე დაიცავენ.

ლაშა დიდია



◎ ჭადრაკი

ნახევარი ქულაც და...

მინსკში **მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-18 ჩემპიონატის მე-9 ტურში ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა ბაადურ ჯობავამ. ქართველმა დიდოსტატმა 25-ე სვლაზე გავაინ ჯონსი (ინგლისი) დაამარცხა და 7 ქულას მოუყარა თავი. იგი ერთპიროვნულ ლიდერ დევიდ ჰაუელს (ინგლისი), რომელიც ანტონ დემჩენკოს (რუსეთი) დაუზავდა, ნახევარი ქულით ჩამორჩება. მე-9 ტურში ქართველთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: მიხეილ მჭედლიშვილი-ბორის გრაჩოვი (რუსეთი) 0.5:0.5, იგორ კოვალენკო (ლატვია)-ლუკა პაიჭაძე – 0.5:0.5, მარტინ კრავცივი (უკრაინა)-თამაზ გელაშვილი 0.5:0.5, დავით ჯოჯუა-ლუკა ლენიჩი (სლოვენია) – 0.5:0.5, ალექსეი სარანა (რუსეთი)-ლევან ფანცულაია – 1:0, თორნიკე სანიკიძე-მათეუშ ბარტელი (პოლონეთი) – 1:0, ნათან ბირნბოიმი (ისრაელი)-ზურაბ სტურუა – 0:1, მერი არაბიძე-ვოიტეხ პლატი (ჩეხეთი) – 0:1, მარიან ჯურიჩი (სლოვაკეთი)-ნოე თუთისანი – 1:0.**

ცხრა ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, 7.5 ქულით ჰაუელი ლიდერობს. 7-7 ქულით II-V ადგილებს იყოფენ ბაადურ ჯობავა, მაქსიმ მატლაკოვი, ანტონ დემჩენკო და არმან მიქაელიანი. მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს 6.5-6,5 ქულა აქვს. **ქართველთა მონაგარი ცხრა ტურის შემდეგ:** მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ჯოჯუა, თამაზ გელაშვილი, ლუკა პაიჭაძე – 6-6, თორნიკე სანიკიძე, ზურაბ სტურუა – 5.5-5.5, ლევან ფანცულაია-5, ნოე თუთისანი, მერი არაბიძე – 4-4 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მიზანი – რევანში

WORLD RUGBY U20 CHAMPIONSHIP

როგორც მოგეხსენებათ, 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე „ბორჯღალოსნებმა“ ღირსეული ბრძოლა გაუმართეს არგენტინელ „პუმებს“ და მრისხანე მეტოქესთან ორი ლელოს დადებაც მოახერხეს – 26:37. ისე მოხდა, რომ ეს გუნდები ერთმანეთს სარაგბო ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლადაც შეხვდებიან – 13 ივნისს მეცხრე-მეთორმეტე პოზიციებისთვის მოუწევთ კიდევ ერთხელ შებმა.

ეტყობა, მასპინძელთა თავკაცმა **ილია მაისურაძემ,** პრაგმატული მოსაზრებით, ჯგუფური რაუნდის დასკვნით, უმოტივაციო მატჩში ფრანგებთან ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად 10 მოთამაშე დაასვენა და მწარე მარცხიც ვერ ავიცილეთ თავიდან – 0:54 (!)

სპორტის ისტორიას მრავლად ახსოვს მსგავსი შემთხვევები. ასე რომ, თუ საბოლოოდ პროგრამა მინიმუმი წარმატებით შევასრულეთ, ალბათ, ჩვენი სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილება გამართლებული იქნება, თუმცა, ხომ არსებობს ელემენტარული თავმოყვარეობა, მით უმეტეს მაშინ, როცა ქართული რაგბის პროგრესი თვალსაჩინოა, ეროვნულ ნაკრებს ექვს ერში დაწინაურების არცთუ უსაფუძვლო ამბიცია გააჩნია და თითოეულ ნაბიჯზე, რომ იტყვიან, ლუპით გვაკვირდებიან!

I ეტაპის შემდეგ

„ა“ ჯგუფი. ინგლისი – 14, ავსტრალია – 10, უელსი – 6, სამოა – 1 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. ახალი ზელანდია – 15, შოტლანდია – 9, იტალია – 6, ირლანდია – 2 ქულა.

„გ“ ჯგუფი. სამხრეთი აფრიკა – 12, საფრანგეთი – 11, არგენტინა – 6, საქართველო – 0 ქულა.

13 ივნისს ითამაშებენ

ნახევარფინალი. ახალი ზელანდია-საფრანგეთი, ინგლისი-სამხრეთი აფრიკა.

V-VIII ადგილებისთვის. ავსტრალია-იტალია, შოტლანდია-უელსი.

IX-XII ადგილებისთვის. საქართველო-არგენტინა, ირლანდია-სამოა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

მეფური ნახტომი



„კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სუპერფინალური სერიის მესამე შეხვედრაში „გოლდენ სტეიტთან“ (113:118) 39 ქულა დააგროვა და სუპერფინალების ისტორიაში ჩაგდებული ქულების მიხედვით მეოთხე ადგილამდე აღზევდა.

ლებრონს 1175 ქულა დაუგროვდა, რის შედეგადაც ელჯინ ბეილორდი (1161), ლეგენდარული ბილ რასელი (1154) და სემ ჯონსი (1143) ჩამოიტოვა.

ლებრონს ერთი ქულით მაიკლ ჯორდანი უსწრებს – 1176, რაც იმას ნიშნავს, რომ „მეფე“ შემდეგ შეხვედრაში მასაც ჩამოიტოვებს და მესამე ადგილზე გადავა. მეორე ადგილს 1317 ქულით ქარიმ აბდულ-ჯაბარი იკავებს, ხოლო პირველ საფეხურზე 1679 ქულით ჯერი ვესტია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

დღეს როლან გაროსის სენსაციური ფინალია

როლან გაროსის ფინალში რუმინელი სიმონა ჰალეპი ლატვიელ ელენა ოსტაპენკოს დაუპირისპირდება. ნახევარფინალში კარპატელმა ჩეხი კაროლინა პლიშკოვა 6:4, 3:6, 6:3 დაამარცხა, ხოლო სეზონის აღმოჩენა ოსტაპენკომ შვეიცარიელ ტიმეა ბაჩინსკის 7:6, 3:6, 6:3 აჯობა.

ოსტაპენკო გახდა პირველი ლატვიელი ჩოგბურთელი, რომელიც დიდი სლემის სერიის ტურნირის ფინალში გავიდა. ელენა ამავე დროს 2009 წლის შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა მანდილოსანია, ვინც დიდი სლემის სერიის ტურნირის ფინალში ითამაშებს (კაროლინა ვოზნიაცკი 19 წლის იყო), ბალტიისპირელს 8 ივნისს 20 წელი შეუსრულდა.

სიმონა ჰალეპი როლან გაროსის ფინალში 2014 წელსაც გავიდა, მაგრამ მაშინ რუს მარია შარაპოვასთან დამარცხდა.

ფინალური შეხვედრა დღეს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

გიორგი ზოთაძე



◎ სულიერება

ყოველთა წმიდათა კვირიაკე



11 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყოველთა წმიდათა კვირიაკეს... დღესვეა პეტრე-პავლობის მარხვის აღება, რომელიც 12 ივლისს ზეიმით დაგვირგვინდება...

ნიშანდობლივია, რომ პეტრე-პავლობის მარხვა მოციქულებმა დააწესეს.

ძველად ამ მრავალდღიან მარხვას „ერგასის შემდგომს“ ეძახდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც მოიხსენიებენ.

გიული ლიპარტია

განა რა თვეა ასეთი - რამადანი?

მუსლიმანური მთვარის კალენდრის ჰიჯრის მე-9 თვე წმინდა თვედ ითვლება და მას რამადანი ეწოდება. ამ დროს მუსლიმანი მორწმუნენი მარხულობენ.

წლევანდელი მარხვის თვე 26-დან 27 მაისის ღამეს დაიწყო და ივნისის ბოლომდე გასტანს. ამ დროს მორწმუნეთათვის დღე-ღამის ნათელ დროს არც ჭამა, არც რაიმე სითხის დალევა (წყლისაც კი!), მით უმეტეს, რაიმე სახით ფიზიკური განცხრომა არ შეიძლება. ყველაფერ ამისთვის ღამე არსებობს. მოკლედ, ჩვეული ცხოვრება ამ დროს თავდაყირა დგება: ადამიანებს დღისით სძინავთ, ღამ-ღამობით კი საჭმელს მიირთმევენ და მუშაობენ. შეიძლება ითქვას, რომ რამადანის თვეში მუსლიმანებს იმის შეფასების შესაძლებლობა ეძლევათ, თუ რამდენად უფლის პატივისცემით და პატიოსნად ცხოვრობენ, რამდენად ძლიერია მათი რწმენა და ნებისყოფა. სიტყვა „რამადანი“ არაბულად „სიცხეს“, „სულის ამომხდელ პაპანაქებას“ ნიშნავს. ცხელი თვე ადამიანს არაქათს იმისათვის აცლის, რომ მას შემდგომ ცხოვრება გაუდვილდეს და იფიქროს არა მხოლოდ საყოველდღეო სადარდებელზე, არამედ მარადიულზეც. ესაა ლოცვების, ყურანის კითხვის, ასევე უფალსა და სიცოცხლის არსზე ფიქრის დრო. რამადანის დროს ასევე აკრძალულია ცოლქმრული სიახლოვე, თუმცა სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს რამადანის დროს არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება. სპირტიანი სასმელები, თამბაქოს მოწევა და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება მუსლიმანებისთვის საერთოდაა აკრძალული. ამიტომ, პატივისცემის ნიშნად, ეცადეთ, მუსლიმანის გვერდით თამბაქო არ მოწიოთ, სიგარეტის კვამლის ჩასუნთქვა მარხვის დროს მათთვის არ შეიძლება. კატეგორიულად აკრძალულია განზრახ ტყუილის თქმა, უფლის, წინასწარმეტყველთა და იმამების სახელების დაფიცება.

მარხვის დაცვისგან გათავისუფლებულები არიან არასრულწლოვნები, ქრონიკული ავადმყოფები ან სნეული პირები, მგზავრები, ფეხმძიმე ქალები. ამ რთული თვის ყოველი ცისმარე დღე მუსლიმანისთვის სადღესასწაულოა. მარხვა გრძელდება აისიდან დაისამდე. მის დაწყებამდე, წინდაწინ, ყოველმა მუსლიმანმა ნიათი უნდა ჩაუთქვას, რაც სინათლის დღის განმავლობაში მარხვის დაცვას ნიშნავს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც დღეს ღამე შეცვლის, მუსლიმანი მაგიდას ნათესავებთან ერთად მიუჯდება ხოლმე.

მარხვის დასრულების შემდეგ კი დიდი დღესასწაულის დრო დგება...

ლალი ხუნდაძე



ამინდი შეიცვლება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 10 ივნისის დღის მეორე ნახევრიდან 12 ივნისამდე საქართველოში მოსალოდნელია წვიმა და ელჭექი, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა და დასავლეთის მიმართულების დროგამოშვებით ძლიერი, შკვალური ხასიათის ქარი.

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

„ბირჟა მაფია“ და ნარკოტიკები

„ბირჟა მაფიის“ წევრების მიშკა მგალობლიშვილისა და გიორგი ქებურიას საქმეზე გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა მ.მ.-ს პირადი ჩხრეკისას 1,4965 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“, ხოლო გ.ქ.-ს პირადი ჩხრეკისას 2,3342 გრამი „მდმა“ ამოიღეს.

„შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მე-2 და მე-3 განყოფილებების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ორი პირი — 1989 წელს დაბადებული მ.მ. და 1996 წელს დაბადებული გ.ქ. ნარკოდანაშაულისათვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა მ.მ.-ს პირადი ჩხრეკისას 1,4965 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“, ხოლო გ.ქ.-ს პირადი ჩხრეკისას 2,3342 გრამი „მდმა“ ამოიღეს.

გ.ქ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ დაკავებული რეპერების ოჯახის წევრები მომხდარს „ბირჟა მაფიას“ ბოლო კლიპს უკავშირებენ, რომელშიც პოლიციელია გაშარჟებული.

სანთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ზურაბ რევიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მერი ბოდაველი, შვილები ვალერი, ნატო სიხარულიძეები, დები ჟუჟუნა, ლილი, იზო სიხარულიძეები, სიძეები თენგიზ გორგაძე, არჩილ ნეფარიძე, რძალი ლალი ქურხული, ცოლისძმა გერონტი, ცოლისდა მზაღო ბოდაველები, შვილიშვილები, დისშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო ვალერიანის ძე სიხარულიძე

პანაშვიდი: 11, 12 VI. დაკრძალვა: 13 VI, 14 სთ. მისამართი: ნაძალადევის რაიონი, კაჭრეთის ქ. №21.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას მზია გორგაძეს ბიძის

სერგო სიხარულიძის

გარდაცვალების გამო.

რუსთავში 24 წლის ქალი დაჭრეს

გუშინ, გამთენიისას, 24 წლის ქალს, არსებული ინფორმაციით, თავისა და გულ-მკერდის არეში, ბლაგვი საგნით, ჭრილობები მიაყენეს. შემთხვევა რუსთავში, მე-12 მკრ-ში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, დაპირისპირება ქალებს შორის მოხდა. დაზარალებული სასწრაფო-სამედიცინო ეკიპაჟმა კლინიკაში მოათავსა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

უვადო თავისუფლების აღკვეთა ძალაში დარჩა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის განაჩენი, რომლითაც სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი სამი პირის ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებული ელნურ ანტესოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

„სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 28 იანვარს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ დუზჯეში, საქართველოს მოქალაქეებმა ელნურ ანტესოვმა, აზადე ომაროვამ და ვუგარ გულიევმა განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინეს სამი პირის, მათ შორის, საქართველოს ორი მოქალაქის განზრახ მკვლელობა. სამართალდამცველებმა ე. ანტესოვი, ა. ომაროვა და ვ. გულიევი 2016 წლის 8 ივლისს, ქ. მარნეულში დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, მეორე ნაწილის „ბ“, „ე“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (უმწეო მდგომარეობაში მყოფი სამი პირის ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობა, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით) წარედგინათ.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ ფაქტზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ელნურ ანტესოვის თანამზრახველებს ვუგარ გულიევს სასჯელის სახით და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, ხოლო აზადე ომაროვას — ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით“, — აცხადებენ პროკურატურაში.



ფოტოზე შემორჩენილი დრო

მერაბ ბერძენიშვილი, ოთარ ფარულავა, მიშა ყიფიანი, ნოდარ მალაზონია, ელგუჯა ამაშუკელი.

გასული საუკუნის 70-იანი წლები.

დღეს მერაბს 88 წელი შეუსრულდებოდა.

მოგვაწოდა
ნოდარ მალაზონიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

სათრეველები

სულწაწყმედილები

გაბერილთა „ეკლესია“
ეს ქარები ნეკრესია,
ჰგავს ტკივილის ხიჩინს,
თუკი არ სწამს ეკლესია
და საუბრობს ყინჩით.
არ სჯერა, რომ რეგრესია,
როცა ნემსებს იჩრის,
თუ „გასაბერ ეკლესიით“
იბერება „გირჩი“.

ამაოება ამაო?

დახურულ სასამართლო პროცესზე ღიად საკითხავი

რამ გაგაბრიყვა, მამაო,
ეშმამ, სკამმა თუ რამაო,
რომ დარჩა სხვათა
მოზომვით
მაგ შენი დეკანოზობის
ამაოება ამაოდ?

ალექსანდრე შენგელია

◎ ვერნისაჟი

„თანავარსკვლავედი“ ცისფერ გალერეაში

უალრესად საგულისხმო გამოფენის ხილვა შეუძლიათ ამ დღეებში თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული (იგივე ცისფერი) გალერეის მნახველებს.

8 ივნისს გაიხსნა და 11 სექტემბრამდე გასტანს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კოლექციონერ ჯონ დოდელანდესა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებული გამოფენა „თანავარსკვლავედი“. მის ექსპოზიციაში წარმოდგენილია თანამედროვე ჩინელი მსახიობების, მათ შორის აი ვეივეის, ჰუ შიაოიანის, ლი შურუის, ლუ პიანგიანისა და სხვების (სულ 18 კაცის) ავანგარდისტული ნამუშევრები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ დღევანდელი ჩინეთის ხელოვნებაზე.

მათი უმრავლესობა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ესთეტიკური პრობლემების გადაჭრის განსხვავებულ გზებს ასახავს.

ნინო ალექსანდრია



საქართველოს „სადარბაზო ბარათი“

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო, საიუბილეო მე-10 გამოფენა „WinExpo Georgia 2017“ გახსნა 9 ივნისს საგამოფენო სივრცე „ექსპო-ჯორჯიაში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ამ ხნის მანძილზე გამოფენის ოფიციალური მხარდამჭერები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო არიან.

— საქართველო ღვინის სამშობლოა, ქართული ღვინო კი ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის ნაწილი, მისი სადარბაზო ბარათი. ქართულ ღვინოს მსოფლიო აღიარება რომ აქვს მოპოვებული, ამის თვალსაჩინო დასტურია წლეულს ივლისიდან ნოემბრამდე საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ახლადგახსნილ ღვინის ცივილიზაციის მუზეუმში სპეციალური სტუმრის სტატუსით მიწვეული საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს, ექსპოზიციის განთავსება, — განაცხადა ბატონმა ლევან დავითაშვილმა.

წლევანდელ გამოფენაზე 97 კომპანიას 170-ზე მეტი დასახელების ღვინო და ალკოჰოლიანი სასმელი აქვს წარმოდგენილი, ხოლო ქართველ მეღვინეთა გარდა მასში კიდევ ათი ქვეყნის, მათ შორის ავსტრიის, სომხეთის, ბელგიის, კვიპროსის, გერმანიის, უნგრეთის, იტალიის, თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის მეწარმეები იღებენ.

გამოფენის პარალელურად 9-10 ივნისს ღვინის მე-9 საერთაშორისო კონკურსი იმართება, რომელზეც გამარჯვებულები ექვსი სხვადასხვა სახეობის ოქროს მედლით დაჯილდოვდებიან.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „WinExpo Georgia 2017“ კავკასიის რეგიონში ერთადერთი გამოფენაა, რომელზეც მეღვინეობის ინდუსტრიის სრული სპექტრია წარმოდგენილი.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4085; ევრო - 2.7057;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1161;
100 რუბლი - 4.2302; თურქული ლირა - 0.6790;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4257;
1000 სომხური დრამი - 4.9917.

ამინდი 10 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+14	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+16,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge